



## საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

წინასაარჩევნო გარემოს მონიტორინგის

მეორე შუალედური ანგარიში

(1 აგვისტო-15 ოქტომბერი, 2017 წელი)



2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს სადამკვირვებლო მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის (NED) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ და მისი შინაარსი, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.

თბილისი 2017

## სარჩევი

- I. წინასიტყვაობა
- II. სადამკვირვებლო მისიის მასშტაბი და მეთოდოლოგია
- III. წინასაარჩევნო გარემოს შეფასება
- IV. რეკომენდაციები
- V. უწყებათაშორისი კომისია
- VI. საარჩევნო ადმინისტრაცია
- VII. საარჩევნო სუბიექტების დაფინანსება და სახელმწიფო აუდიტის სამსახური
- VIII. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები.
- IX. მუქარის, ზეწოლისა და ფიზიკური დაპირისპირების ფაქტები
- X. წინასაარჩევნო კამპანიაში ხელშეშლის ფაქტები

## I. წინასიტყვაობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ მიზნით, საია დაფუძნებიდან (1994 წელი) დღემდე აქტიურად არის ჩართული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პროცესში, რა დროსაც სწავლობს წინასაარჩევნო, არჩევნების დღესა და შემდგომ პერიოდს, თუ რამდენად თავისუფალი, სამართლიანი, კონკურენტული და ინკლუზიური საარჩევნო გარემოა საქართველოში.

საარჩევნო პროცესებზე დაკვირვებისას, ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ დადგენილი დემოკრატიული სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების, საარჩევნო სუბიექტებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან. საარჩევნო პერიოდში საიას საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ დარღვევების გამოვლენით, არამედ, საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოში საჩივრების წარდგენის გზით, ორგანიზაცია ცდილობს, ხელი შეუწყოს საარჩევნო კანონმდებლობის თანმიმდევრული და პროგრესული განმარტების დანერგვას, დამრღვევთა წინააღმდეგ სამართლებრივი ზომების გატარებასა და დარღვევების შემდგომ პრევენციას.

საიას აზრით, არჩევნების მიმდინარეობის თაობაზე საზოგადოებისა და საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეებისთვის მიუკერძოებელი, კომპეტენტური, დროული ინფორმაციის მიწოდება ხელს შეუწყობს საარჩევნო გარემოს სამართლიანობის ხარისხის გაუმჯობესებას და იმ პოზიტიური ასპექტების გაღრმავებას, რომლებიც წლების განმავლობაში იყო მიღწეული.

ასოციაციას სწამს რა სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების პრინციპების უზენაესობის, თავის საქმიანობაში მუდმივად იცავს სრულ ნეიტრალიტეტს პოლიტიკური პროცესების მიმართ. წლების განმავლობაში, საიამ თავისი საქმიანობით დაამტკიცა კანონის უზენაესობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების ერთგულება და სწრაფვა სამართლიანი საარჩევნო გარემოს შესაქმნელად.

ამ მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2010 წელს ხელმოწერით აღიარა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების გლობალური ქსელის (GNDEM) ინიციატივით არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის შემუშავებული სადამკვირვებლო მონიტორინგის გლობალური პრინციპების დეკლარაცია და ქცევის კოდექსი.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> DECLARATION OF GLOBAL PRINCIPLES FOR NON-PARTISAN ELECTION OBSERVATION AND MONITORING BY CITIZEN ORGANIZATIONS and CODE OF CONDUCT FOR NON-PARTISAN CITIZEN ELECTION OBSERVERS AND MONITORS.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2017 წლის 1 აგვისტოდან 2017 წლის 15 ოქტომბრამდე პერიოდს და მასში ყურადღება გამახვილებულია საანგარიშო პერიოდში არსებულ დარღვევებსა და ცვლილებებზე.

საიას 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

პირველი შუალედური ანგარიში საიამ 25 აგვისტოს გამოაქვეყნა (1 ივნისი-1 აგვისტო, 2017), ხოლო წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს რიგით მეორე შუალედურ ანგარიშს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის.

## II. სადამკვირვებლო მისიის მასშტაბი და მეთოდოლოგია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პროცესების დაკვირვებას ცენტრალური და 8 რეგიონული ოფისის მეშვეობით, თბილისსა და საქართველოს 9 რეგიონში: აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, სამცხე - ჯავახეთსა და სამეგრელოში 20-მდე მონიტორის მეშვეობით ახორციელებდა.

საიას გრძელვადიანი დამკვირვებლები სწავლობდნენ არჩევნებში ჩართული სახელმწიფო უწყებების (საარჩევნო ადმინისტრაცია, აუდიტის სამსახური, უწყებათაშორისი კომისია, სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო) საქმიანობას და აკვირდებოდნენ, თუ რამდენად გამჭვირვალედ, ობიექტურად და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვით მუშაობდნენ და იღებდნენ გადაწყვეტილებებს შესაბამისი უწყებები.

საიას მონიტორები სავარაუდო დარღვევებზე ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან მოიპოვებდნენ, მათ შორის, საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის საშუალებით, ასევე, მასმედიით გავრცელებული ინფორმაციის მონიტორინგის გზით.<sup>2</sup> ხშირად, მოქალაქეები, პოლიტიკური პარტიის წევრები საიას მონიტორებს თავად აწვდიდნენ ინფორმაციას მათ მიერ დაფიქსირებული დარღვევების შესახებ. ინფორმაციის მიღების შემდგომ საიას დამკვირვებლები თითოეულ შემთხვევას უშუალოდ განმცხადებლებთან და იმ პირებთან ამოწმებდნენ, ვისაც შესაძლოა საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონოდა. საიას იურისტები, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტულ პირებს შესაბამის სამართლებრივ დახმარებას უწევდნენ.

<sup>2</sup> ცენტრალური და რეგიონული პრესა, ნაციონალური და რეგიონული მაუწყებლები, ინტერნეტ გამოცემები.

2017 წლის 2-4 სექტემბრის პერიოდში საიას დამკვირვებლები საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესს დააკვირდნენ.<sup>3</sup> ამ მიზნით დამკვირვებლები საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომებს დაესწრნენ თელავის, რუსთავის, დუშეთის, გარდაბნის, წალენჯიხის, აბაშის, ქუთაისის, სამტრედიის, ბათუმის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ისნისა და კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიებში, სულ თხუთმეტი სხდომას.

მონიტორინგის საგანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რამდენად იცავდა საოლქო საარჩევნო კომისია კონკურსის ჩატარების წესსა და პროცედურას; თუ რამდენად მოხდა 2017 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობაში დისციპლინურ სახდელდადებულ პირთა განმეორებითი არჩევა/დანაშვნა; ასევე, იმ პირთა პროფესიული ნიშნით არჩევა საუბნო საარჩევნო კომისიებში, რომლებიც უახლოეს წარსულში წარმოადგენდნენ სხვადასხვა პარტიას საარჩევნო ადმინისტრაციაში.

სხდომებზე დასწრების გარდა, საიამ ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციიდანაც გამოითხოვა და პროფესიული ნიშნით არჩეული კომისიის წევრების შესახებ ინფორმაცია შეისწავლა.

### **III.წინასაარჩევნო გარემოს შეფასება**

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პროცესები მეტნაკლებად მშვიდ და კონკურენტულ გარემოში წარიმართა. საარჩევნო სუბიექტებმა შეძლეს საკუთარი პროგრამებისა და დაპირებების ამომრჩევლისათვის გაცნობა ამომრჩეველთან უშუალოდ შეხვედრებისა თუ წინასაარჩევნო მასშტაბური აქციებისა და ღონისძიებების მეშვეობით.

ძირითადად პრობლემები ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და სამეგრელოს რეგიონებში დაფიქსირდა, სადაც იდენტიფიცირებულ იქნა როგორც შიდაპარტიული დაპირისპირებები, ასევე მძაფრი კონკურენტული გარემო.

**საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სავარაუდო მუქარა/ზეწოლის 10-ზე მეტი, ფიზიკური დაპირისპირების 5, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების 9, წინასაარჩევნო აგიტაციაში უკანონო მონაწილეობის 5 ფაქტი.**

---

<sup>3</sup> 2017 წლის 1 სექტემბრიდან 5 სექტემბრის ჩათვლით საოლქო საარჩევნო კომისიებში საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიული წევრების შესარჩევი კონკურსი გაიმართა.

## საარჩევნო ადმინისტრაცია

საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება დროულად, კანონით გათვალისწინებულ ვადაში განხორციელდა, თუმცა დაფიქსირდა მთელი რიგი პრობლემები. აღმოჩნდა რომ კონკურსში მონაწილეობდნენ ის პირები, ვისაც გასულ არჩევნებში, მათ შორის 2016 წლის არჩევნებში დისციპლინური პასუხისმგებლობა ჰქონდათ შეფარდებული, თუმცა მონიტორების ინფორმაციით, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა ეს პირები მაინც აირჩიეს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებად. ასევე მონიტორების ინფორმაციით, ადგილი ჰქონდა იმ პირთა პროფესიული ნიშნით არჩევას საუბნო საარჩევნო კომისიებში, რომლებიც უახლოეს წარსულში წარმოადგენდნენ სხვადასხვა პარტიას საარჩევნო ადმინისტრაციაში.

საარჩევნო ადმინისტრაციაში ჩვენს მიერ წარდგენილი განცხადებებისა თუ საჩივრების განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიები ხშირ შემთხვევებში დეტალურად არ სწავლობდნენ საქმეში წარმოდგენილ მასალებს, და გადაწყვეტილებას მხოლოდ სავარაუდო დამრღვევის ახსნა-განმარტების საფუძველზე იღებდნენ. საბოლოო ჯამში კი მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხასიათდება დასაბუთებულობის დაბალი სტანდარტით.

2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის კვლავ პრობლემად დარჩა ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდის საკითხი.

## უწყებათაშორისი კომისია

უწყებათაშორისი კომისიის მიერ რეკომენდაციების გამოცემის შემდგომ დარღვევები მაინც ფიქსირდებოდა, რაც პრობლემურია. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული უწყება, გასცდეს მხოლოდ პრეტენზიების მოსმენისა და ინფორმაციის ურთიერთგაზიარების პლატფორმას, რასაც დღეის მდგომარეობით ის წარმოადგენს და იქცეს უფრო ქმედით და ეფექტურ უწყებად.

## საარჩევნო სუბიექტების დაფინანსება

იურიდიული პირები სოლიდური ფულადი შემოწირულებით ძირითადად მმართველ პარტიას აფინანსებდნენ. იურიდიული პირების მიერ ოპოზიციური პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების სასარგებლოდ ძირითადად არაფულადი შემოწირულება ფიქსირდება.

## მედია გარემო

მედია გარემო არის პლურალისტული, თუმცა პოლარიზებული. გარკვეული საარჩევნო სუბიექტები წინასაარჩევნო პერიოდში საუბრობდნენ მათთვის მედია სივრცის შეზღუდვაზე.<sup>4</sup>

ამ არჩევნებზე აქტუალური გახდა სოციალური ქსელებით კონტრაგიტაციის ფაქტებიც, რომელიც პერმანენტულ ხასიათს ატარებდა და სხვადასხვა სუბიექტების წინააღმდეგ დასპონსორებული გვერდების მეშვეობით ხორციელდებოდა.

### ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

წინასაარჩევნო პერიოდში საიას დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა ადამიანური რესურსის მმართველი პარტიის სასარგებლოდ გამოყენების ფაქტები. ადგილი ჰქონდა საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული პირების (სკოლის, საბავშვო ბაღების პედაგოგების, აიპების თანამშრომლების) ჯგუფურ დასწრებას მმართველი პარტიის წინასაარჩევნო შეხვედრებზე, რაც ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ასეთი ხასიათის დასწრებები ორგანიზებულ და სავალდებულო ხასიათს ატარებდა, რაც ცალკეულ შემთხვევებში დასტურდებოდა. დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, რომლებმაც საგანმანათლებლო პროცესების პოლიტიზირების რისკები შექმნა. ადგილი ჰქონდა სასწავლო გაკვეთილის ჩატარებას პარტიული სიმბოლიკის გამოყენებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებული პირების - რესურსცენტრის ხელმძღვანელების მხრიდან მმართველი პარტიის კანდიდატების სასარგებლოდ აგიტაციას.<sup>5</sup> ასევე საბავშვო ბაღების თანამშრომლების ორგანიზებულ ჩართვას წინასაარჩევნო პროცესებში (მმართველის პარტიის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისა და მათ სასარგებლოდ „მხარდამჭერთა“ მობილიზების კუთხით). მსგავსი ფაქტები წარმოადგენს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას მმართველი პარტიის სასარგებლოდ და ეწინააღმდეგება ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 მუხლს, რომელიც მოითხოვს სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიის საქმიანობის გამიჯვნას. აღნიშნული მუხლის თანახმად, პოლიტიკური პარტიები არ უნდა იყვნენ აღრეულნი სახელმწიფოსთან.<sup>6</sup>

### წინასაარჩევნო კამპანიაში ხელშეშლა

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სააგიტაციო მასალების გავრცელებაში ხელშეშლის არაერთი ფაქტი, მათ შორის სააგიტაციო პლაკატების ჩამოხევა, გადაკვრა, დაზიანება. ასევე ადგილი ჰქონდა წინასაარჩევნო შეხვედრების ხელშეშლის ფაქტებსაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეშლაზე (კონტრაქციებსა და საარჩევნო მასალების დაზიანებაზე) ასევე საუბრობდა მმართველი პარტიაც.

<sup>4</sup> <http://droa.ge/?p=11526>

<sup>5</sup> ყვარელი და ზუგდიდი

<sup>6</sup> <http://www.osce.org/odihr/elections/14304?download=true>

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ფიზიკური დაპირისპირების ფაქტებიც, ადგილი ჰქონდა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა დაკავების ფაქტებსაც.

#### **მუქარა, ზეწოლა, ფიზიკური ანგარიშსწორება**

საანგარიშო პერიოდში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების კანდიდატები, საკუთარ კანდიდატურებს ზეწოლის ან გადაბირების შედეგად ხსნიდნენ. აგრეთვე, რიგ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა ზეწოლას ამომრჩევლებზე, იმ მიზნით, რომ მათ მმართველი პარტიისთვის დაეჭირათ მხარი.<sup>7</sup>

**წინასაარჩევნოდ მსგავსი ფაქტები ცალსახად აზიანებს ქვეყნის ინტერესებს და საფრთხეს უქმნის მშვიდ და სტაბილურ საარჩევნო გარემოს, გავლენას ახდენს არჩევნების პროცესის ჯანსაღ გარემოში ჩატარებაზე, რაც საბოლოოდ ქვეყანაში დემოკრატიისა და მმართველობის ხარისხზე აისახება.** მნიშვნელოვანია, რომ ამ ფაქტებზე წარიმართოს მყისიერი, ობიექტური და სრულყოფილი გამოძიება, რაც იქნება ეფექტური და მოახდენს დარღვევების შემდგომ პრევენციას. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე მიმდინარე გამოძიებები ვერ ქმნის დაცულობის განცდას და ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს კანდიდატებისთვის. საანგარიშო პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული აგიტაციის ცნება ცესკომ ვიწროდ განმარტა, რითიც სააგიტაციო ღონისძიებაში კანონის დარღვევით მონაწილეობის დაკანონების საფრთხე შექმნა.<sup>8</sup>

#### **IV. რეკომენდაციები**

##### **ხელისუფლებამ:**

- უნდა უზრუნველყოს მშვიდი და სამართლიანი არჩევნები;

##### **სამართალდამცავი ორგანოები:**

- სამართალდამცავი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა პოლიტიკური ძალების კანდიდატებზე სავარაუდო ზეწოლის ფაქტებით და წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარ ამ და სხვა სახის კანონდარღვევებზე

<sup>7</sup> <https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-tetrityaros-saarchevno-olqshi-ganvitarebul-movlenebs-ekhmaurebian#sthash.oevHMOrX.dpbs>

<sup>8</sup> <https://gyla.ge/ge/post/ceskos-gadatsyvetileba-shevchenkos-mier-ukanono-agitaciis-faqtan-dakavshirebit-saagitacio-ghonisdziebashi-ukanono-monatsileobis-dakanonebis-risrebs-qmnis#sthash.zzEs4lcl.dpbs>



მოახდინონ სათანადო და ადეკვატური რეაგირება. აღნიშნულმა ორგანოებმა უმოკლეს ვადებში უნდა ჩაატარონ სრულყოფილი, მიუკერძოებელი და ობიექტური გამოძიება დამნაშავე პირთა გამოვლენისა და მათი სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით;

- სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არჩევნებთან დაკავშირებული ინციდენტები იყოს დროულად, სრულყოფილად და ობიექტურად გამოძიებული;
- ასევე, მათ უნდა გამორიცხონ მიკერძოების აღქმა პოლიტიკურად აქტიურ პირებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების მიმართ;
- სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა დაიცვან საარჩევნო პროცესში მონაწილე პირები ძალადობისა და ნებისმიერი უკანონო ზემოქმედებისგან, ასევე, უნდა უზრუნველყონ საარჩევნო გარემოს უსაფრთხოება;
- როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე არჩევნების დღეს და შემდგომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა უსაფრთხოება და გაატაროს კანონით დადგენილი ყველა შესაძლო ღონისძიება, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვისათვის.

#### **უწყებათაშორისმა კომისია:**

- უწყებათაშორისი კომისია ერთ-ერთი მრავალკომპონენტური და მრავალრიცხოვანი უწყებაა საარჩევნო თემატიკაზე მომუშავე უწყებებს შორის, თუმცა საარჩევნო დარღვევათა პრევენციისა და უკვე არსებულ დარღვევებზე რეაგირების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული უწყება, პრეტენზიების მოსმენისა და ინფორმაციის ურთიერთგაზიარების პლატფორმიდან, რასაც დღეის მდგომარეობით ის წარმოადგენს, გადაიქცეს უფრო ქმედით და ეფექტურ უწყებად.

#### **საარჩევნო ადმინისტრაციამ:**

- განუხრელად დაიცვას საარჩევნო კანონმებლობის მოთხოვნები, იმოქმედოს კანონით დადგენილი წესითა და ფარგლებში,
- უზრუნველყოს მშვიდი და ნორმალური სამუშაო გარემო დამკვირვებელთათვის, არ დაუშვას მათ საქმიანობის ხელშეშლა და კანონით მინიჭებული უფლებების შეზღუდვა
- წარდგენილი საჩივრები ობიექტურად, სრულყოფილად და კანონის მოთხოვნების დაცვით უნდა განიხილოს და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილებები;

#### **საარჩევნო სუბიექტები და პოლიტიკურ აქტივობებში ჩართული პირები:**

- განუხრელად დაიცვან საარჩევნო კანონმებლობის მოთხოვნები, თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყონ არჩევნების მშვიდ და ნორმალურ გარემოში ჩატარებას.

## V. უწყებათაშორისი კომისია

საანგარიშო პერიოდში, 2017 წლის 1 აგვისტოდან ანგარიშის გამოქვეყნებამდე უწყებათაშორისმა კომისიამ 5 სხდომა გამართა და 3 რეკომენდაცია გამოსცა.<sup>9</sup>

საანგარიშო პერიოდში, უწყებათაშორისმა გამოსცა შუალედური ანგარიში,<sup>10</sup> საიდანაც ირკვევა, რომ კომისიაში შესული განცხადებების საფუძველზე, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 11 საქმეზე, აქედან 1 საქმეზე შეწყდა გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

საანგარიშო პერიოდში საიამ უწყებათაშორის კომისიას სულ 11 განცხადებით მიმართა, რომელთა საფუძველზეც, კომისიამ შესაბამის ორგანოებს რეაგირებისაკენ მოუწოდა.

აქედან, 1 განცხადება ეხებოდა კომისიის საქმიანობაში უკანონო ჩარევის ფაქტს, 5 განცხადება- მუქარის, ზეწოლისა და ფიზიკური დაპირისპირების ფაქტს; 3 განცხადება ეხებოდა წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვაში ხელშეშლას; ასევე ადმინისტრაციული რესურსისა და წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევის ფაქტებს.

კომისიამ საგანმანათლებლო რესურს ცენტრების ხელმძღვანელებს, საჯარო სკოლებისა და ბაგა-ბაღების თანამშრომლებს და მოუწოდოდა თავიდან აიცილონ სასწავლო პროცესების პოლიტიზირება.<sup>11</sup> აგრეთვე კომისიამ მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს/ბლოკებს გასცენ

9

<http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%202017%2F%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%2002.10.2017.doc.pdf>  
<http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%2F%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%2025.09.2017.pdf>

10

<http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2F%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2001.10.17.pdf>

11

<http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20>

მკაფიო მითითება და არ დაუშვან მათი კანდიდატებისა და რიგითი წევრების მხრიდან ვერბალური ან/და ფიზიკური აგრესია, ზეწოლა, ან სხვა სახის არაეთიკური ქმედება ერთმანეთის თუ სახელმწიფო ინსტიტუტების თუ მათი წარმომადგენლებისადმი, რათა გამოირიცხოს პოლიტიკურ ნიადაგზე თუნდაც სიტყვიერი დაპირისპირება.<sup>12</sup>

კომისიამ მოუწოდა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოხელეებს და ადგილობრივი თვითმმართველოების ორგანოებს, სამუშაო საათებში თავი შეიკავონ სოციალურ ქსელებში პირადი გვერდის პოლიტიკური მოწოდებების და აგიტაციის/კონტრაგიტაციის მიზნებისთვის გამოყენებისგან და მაქსიმალურად გამიჯნონ საკუთარი პროფესიული საქმიანობა საარჩევნო პოლიტიკური პროცესებისგან.<sup>13</sup>

უწყებათაშორისი კომისიის მიერ რეკომენდაციების გამოცემის შემდგომ დარღვევები მაინც ფიქსირდებოდა, რაც პრობლემურია. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული უწყება, გასცდეს მხოლოდ პრეტენზიების მოსმენისა და ინფორმაციის ურთიერთგაზიარების პლატფორმას, რასაც დღეის მდგომარეობით ის წარმოადგენს და იქცეს უფრო ქმედით და ეფექტურ უწყებად.

## VI. საარჩევნო ადმინისტრაცია

- საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა და მზადება არჩევნებისთვის

საანგარიშო პერიოდში საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციამ თავისი მიზნებისა და კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად არაერთი აქტივობა განახორციელა. კერძოდ ცენტრალური საარჩევნო კომისია ინტენსიურ მუშაობას ახორციელებდა, შეხვედრებს მართავდა სხვადასხვა ჩართულ მხარეებთან, მათ შორის,

---

[2017%2F09.10.2017%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98.pdf](http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98.pdf)

12

<http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%2F%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%2025.09.2017.pdf>

13

<http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%2002.10.2017.doc.pdf>

საოლქო საარჩევნო კომისიების,<sup>14</sup> მედიის, პოლიტიკური პარტიების,<sup>15</sup> ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.<sup>16</sup>

2017 წლის აგვისტო-ოქტომბრის თვეში საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პირებმა რაიონული, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებთანაც გამართეს შეხვედრები. ცესკოს ინიციატივით საარჩევნო საკითხებზე ტრენინგები ჩაუტარდათ მედიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე ქალ ქალბატონებს, ასევე მარნეულისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში მცოვრებ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს.<sup>17</sup>

2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სხვადასხვა საჭიროებების მქონე ამომრევლებისათვის შეიმუშავა და დანერგა ისეთი სერვისი, როგორცაა ცესკოში საინფორმაციო/სატელეფონო ცენტრში სმენის შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისათვის ინფორმაციის მიწოდება ჟერსტურ ენაზე, ვიდეო ზარის მეშვეობით. ასევე წელს პირველად, საარჩევნო ადმინისტრაციაში დაიწყო საარჩევნო რეგისტრაციების ელექტრონულ ფორმატში განხორციელების პროცესი. წელს ამ სისტემით პოლიტიკურმა პარტიებმა ისარგებლეს.

საანგარიშო პერიოდში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო სუბიექტების ნომრები განსაზღვრა.<sup>18</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები განისაზღვრება არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუმცა დადებითან უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ცესკომ სუბიექტებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით და არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველოს“ რეკომენდაციის გათვალისწინებით,<sup>19</sup>წილისყრის პროცედურა და რიგითი ნომრების მინიჭება კანონმდებლობით შესაძლებელ უადრეს ვადაში, უფლებამოსილი პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ არჩევნებში რიგითი ნომრის მოთხოვნის ვადის ამოწურვისთანავე განახორციელა.

<sup>14</sup><http://cesko.ge/geo/list/show/111015-samushao-shekhvedra-saolqo-saarchevno-komisiebis-khelmdzghvanel-pirebtan>

<sup>15</sup><http://cesko.ge/geo/list/show/111026-shekhvedra-politikuri-partiebis-tsarmomadgenlebtan>

<sup>16</sup><http://cesko.ge/geo/list/show/111296-shekhvedra-NDI-is-grdzelvadian-sadamkvirveblo-misiastan>  
<http://cesko.ge/geo/list/show/111510-shekhvedra-eutos-demokratiuli-institutebis-da-adamianis-uflebata-ofisis-sadamkvirveblo-misiastan>  
<http://cesko.ge/geo/list/show/111754-shekhvedra-amerikis-sakhelmtsifo-departamentis-da-ashsh-s-saelchos-tsarmomadgenlebtan>

<sup>17</sup><http://cesko.ge/geo/list/show/111991-sainformatsio-shekhvedrebi-etnikuri-umtsiresobebis-tsarmomadgenel-gal-amomrchevlebtan>

<sup>18</sup><http://cesko.ge/geo/list/show/111488-tsentralurma-saarchevno-komisiam-saarchevno-subieqtების-rigiti-nomrebi-gansazghvra>

<sup>19</sup><http://cesko.ge/geo/list/show/111237-tamar-jvania-mravalerovali-saqartvelos-tsarmomadgenlebs-shekhvda>

2017 წლის 29 აგვისტოს საიას, შვიდ არასამთავრობო ორგანიზაციას, ცესკოსა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას შორის [ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი](#) გაფორმდა.<sup>20</sup>

ცესკომ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთანაც, რომლის მიზანს, 2017 წლის ოქტომბერში გასამართი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარება წარმოადგენდა.<sup>21</sup>

2017 წლის 27 სექტემბერს კი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და 31-მა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ ერთობლივ ქცევის კოდექსს მოაწერეს ხელი.<sup>22</sup> 14 ოქტომბერს ეთიკის კოდექსს მოაწერეს ხელი ასევე ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა<sup>23</sup>

საანგარიშო პერიოდში საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული აგიტაციის ცნება ცესკომ ვიწროდ განმარტა, რითიც სააგიტაციო ღონისძიებაში კანონის დარღვევით მონაწილეობის დაკანონების საფრთხე შექმნა.<sup>24</sup> საჩივრების განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიები ხშირ შემთხვევებში დეტალურად არ სწავლობდნენ საქმეში წარმოდგენილ მასალებს, და გადაწყვეტილებას მხოლოდ სავარაუდო დამრღვევის ახსნა-განმარტების საფუძველზე იღებდნენ. საბოლოო ჯამში კი მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხასიათდება დასაბუთებულობის დაბალი სტანდარტით.

- **საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში ჩარევის, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის მიმართ განხორციელებული მუქარის შემთხვევები**

საანგარიშო პერიოდში გაავრცელდა ინფორმაცია ახალქალაქში, ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ განხორციელებული მუქარის შესახებ. ცესკოს ინფორმაციით, ოლქის თავმჯდომარეს დაემუქრნენ როგორც საკუთარი სიცოცხლის მოსპობით, ისე ოჯახის წევრის უკანონო თავისუფლების აღკვეთითა და ქონების დაზიანებით. გარდა ზემოაღწერილისა, იმავე დღეს, სამველ პეტროსიანმა ქუჩაში მიმავალ ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, პაატა ფანჯიკიძეს, მოპირდაპირე მხრიდან გაუჩერა მანქანა და მოსთხოვა ახსნა-განმარტებები მის

<sup>20</sup><https://gyla.ge/ge/post/urtierttanamshromlobis-memorandumi#sthash.qb4r5KB8.dpbs>

<sup>21</sup><http://cesko.ge/geo/list/show/111631-tseskosa-da-shss-s-shoris-urtierttanamshromlobis-memorandumi-gaformda>

<sup>22</sup><https://docs.google.com/viewerng/viewer?url=https://gyla.ge/files/gallery/logoebi/untitled+folder/Newsletter+4+GE.pdfგვ.5>

<sup>23</sup> <http://cesko.ge/geo/list/show/112352-etikis-kodeqsi>

<sup>24</sup> <https://gyla.ge/ge/post/ceskos-gadatsyvetileba-shevchenkos-mier-ukanono-agitaciis-faqtan-dakavshirebit-saagitacio-ghonisdziebashi-ukanono-monatsileobis-dakanonebis-riskebs-qmnis#sthash.zzEs4lcl.dpbs>

საქმიანობასთან დაკავშირებით.<sup>25</sup> მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

მონიტორინგის პერიოდში დაფიქსირდა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაში ხელშეშლის ორი ფაქტი სამტრედიაში<sup>26</sup> და თელავში<sup>27</sup>. პირველ შემთხვევაში სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა სასამართლოს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქმედება სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ სწორად იყო შეფასებული, როგორც ფუნქციებში ჩარევა, რამდენადაც დაირღვა კომისიის მუშაობის პროცესი. სასამართლომ ამ შემთხვევაში დამრღვევის მიმართ გამოიყენა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 91<sup>1</sup>-ე მუხლი და სამართალდამრღვევს 500 ლარის გადახდა დააკისრა. მეორე შემთხვევაში კი, რომელიც ეხებოდა „ლეიბორისტური პარტიის“ თელავის მერობის კანდიდატის ნიკოლოზ ვარდოშვილის მიერ თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის ოფისში რამდენიმე თანაპარტიელთან და ჟურნალისტთან ერთად მისვლისა და კომისიის თავმჯდომარისგან განმარტების მიღების მცდელობის ფაქტს, საარჩევნო ადმინისტრაციამ ნიკოლოზ ვარდოშვილს პასუხისმგებლობა „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 91<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე დააკისრა, რომლის თანახმადაც, „საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევა გამოიწვევს შესაბამისი პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.“ თუმცა ვფიქრობთ, რომ იმ პირობებში, როდესაც ოქმის შემდგენმა ვერ სააკონკრეტა საოლქო საარჩევნო კომისიის რომელ ფუნქციაში ჩაერია ნიკოლოზ ვარდოშვილი ან რომელი გადაწყვეტილების მიღებაზე იქონია გავლენა სამართალდამრღვევად ცნობილი პირის ქმედებამ, საარჩევნო კოდექსის 91<sup>1</sup>-ე მუხლის გამოყენება დაუსაბუთებელია და თელავის რიაონულ სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი გაეზიარებინა საოლქო საარჩევნო კომისიის პოზიცია. აღსანიშნავია რომ სამსამართლომ უაპელაციოდ გაიზიარა კომისიის პოზიცია და არც მას უმსჯელია თავის გადაწყვეტილებაში საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე რამდენად წარმოადგენდა აღნიშნული ქმედება კომისიის საქმიანობაში ჩარევას.

საარჩევნო ადმინისტრაციის შენობების დარბევის შემთხვევები დაფიქსირდა გარდაბანში<sup>28</sup> და ოზურგეთში,<sup>29</sup> სადაც ჩამსხვრეული იყო ფანჯრები და ჩამოხეული იყო ამომრჩეველთ სიის საჯარო ვერსიები.

<sup>25</sup><https://docs.google.com/viewerng/viewer?url=https://gyla.ge/files/news/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D+%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98+2.pdf>

<sup>26</sup><https://gyla.ge/files/gallery/logoebi/untitled%20folder/3%20NEWSLETTER%20GE.pdf>

<sup>27</sup><https://gyla.ge/files/gallery/logoebi/untitled%20folder/3%20NEWSLETTER%20GE.pdf>

<sup>28</sup> <http://cesko.ge/geo/list/show/111808-informatsia-gardabnis-saubno-saarchevno-komisiashi-momkhdar-intsidenttan-dakavshirebit>

<sup>29</sup> <http://cesko.ge/geo/list/show/111818-informatsia-ozurgetis-saubno-saarchevno-komisiashi-momkhdar-intsidenttan-dakavshirebit>

- საარჩევნო ადმინისტრაციაში წარდგენილი საჩივრები/განცხადებები

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებული საკანონმდებლო დარღვევებისა და მათზე შესაბამისი რეაგირებისათვის საიამ მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიებს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიასა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ საანგარიშო პერიოდში წარდგენილ იქნა 9 განცხადება. წარდგენილი განცხადება/საჩივრებიდან 5 მათგანი ეხებოდა აგიტაციის წესების დარღვევის შემთხვევას, 2 ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტს, 1 სააგიტაციო ღონისძიების განხორციელებაში ხელშეშლის შემთხვევას.

წარდგენილი განცხადებებისა თუ საჩივრების განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიები ხშირ შემთხვევებში დეტალურად არ სწავლობდნენ საქმეში წარმოდგენილ მასალებს, და გადაწყვეტილებას მხოლოდ სავარაუდო დამრღვევის ახსნა-განმარტების საფუძველზე იღებდნენ. საბოლოო ჯამში კი მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხასიათდება დასაბუთებულობის დაბალი ხარისხით.

**მაგალითები:**

საიას მიერ გასაჩივრებულ ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ეხებოდა პარტია „ქართული ოცნები“-ს მერობის კანდიდატების წარდგენისას, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთ-ერთი სამსახურის ხელმძღვანელის მიერ გამგეობის ბალანსზე მყოფი სახელმწიფოს კუთვნილი ავტომობილით მისვლის ფაქტს, ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საქმის წარმოების პროცესში არ ყოფილა ჩართული განმცხადებელი, მისთვის კომისიას არ მიუწოდებია რაიმე ინფორმაცია საქმის წარმოების მიმდინარეობის შესახებ და №62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არ დაინტერესებულა განმცხადებლის მოსაზრების გთვალისწინებით, რაც ნამდვილად უარყოფითად უნდა შეფასდეს.<sup>30</sup>

მნიშვნელოვანი იყო ცესკოს პოზიცია საიას საჩივართან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა თბილისის მერობის კანდიდატის კახა კალაძის სასარგებლოდ უცხოეთის მოქალაქის მონაწილეობას საარჩევნო აგიტაციაში. <sup>31</sup> საჩივრის განხილვის შედეგად, ცესკომ განმარტა, რომ უცხოელი მოქალაქის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება შესაძლებელი იქნებოდა (სამართალდართვევის დადასტურების შემთხვევაში) თუ ეს პირი საქართველოს ტერიტორიაზე იქნებოდა. თუმცა საიას აზრით, რადგან უცხო ქვეყნის მოქალაქის აგიტაციაში მონაწილეობის აკრძალვა განპირობებულია განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ინტერესით, მსგავსი ტიპის სამართალდარღვევების პრევენციისა და სამართალდამრღვევი პირების მიმართ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების ზომების ეფექტურად გამოყენების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ისეთი სამართლებრივი

<sup>30</sup> <https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=5792>

<sup>31</sup> <https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=5791>

მექანიზმის შექმნა, რომელიც რეაგირების გარეშე არ დატოვებს მსგავს შემთხვევებს და აგიტაციის წესების დამრღვევ უცხოელ მოქალაქეს შესაბამის პასუხისმგებლობას დააკისრებს.

საბოლოო ჯამში საარჩევნო ადმინისტრაციამ საიას მიერ წარდგენილი განცხადება/საჩივრებიდან 4 მათგანი არ დააკმაყოფილა და უარი თქვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე, 1 ერთ შემთხვევაში ცესკოს მიერ საჩივარი დამყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო 1 ერთ შემთხვევაში შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. საარჩევნო ადმინისტრაციაში ამ დროისათვის განხილვის ეტაპზეა განცხადება ხაშურის N49 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ აგიტაციის წესების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.<sup>32</sup>

- საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში საიამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მონიტორინგი განახორციელა.<sup>33</sup> საუბნო კომისიები, კანონმდებლობის მიხედვით, კომპლექტდებიან როგორც პარტიული, ასევე პროფესიული წევრებით (7 პარტიული და 6 პროფესიული წევრი).

აღსანიშნავია, რომ კონკურსის გამოცხადებამდე მედიაში გავრცელდა ინფორმაცია საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესში შესაძლო არასათანადო ჩარევებისა და კომისიებში პროფესიულ წევრებად მმართველ პარტიასთან ასოცირებული პირებით დაკომპლექტების განზრახვების შესახებ.<sup>34</sup>

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ტენდენციები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებელ და ობიექტურ საქმიანობაზე.

- აღმოჩნდა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება კანონის დროულად, კანონით გათვალისწინებულ ვადაში განხორციელდა, თუმცა საიას მონიტორინგის ინფორმაციით, მთელი რიგი პრობლემები დაფიქსირდა.

<sup>32</sup> <https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=5802>

<sup>33</sup> თელავი, რუსთავი, გარდაბანი, წალენჯიხა, აბაშა, ქუთაისი, ისანი, კრწანისი,

<sup>34</sup> <http://rustavi2.ge/ka/news/83523>



- აღმოჩნდა რომ კონკურსში მონაწილეობდნენ ის პირები, ვისაც გასულ არჩევნებში, მათ შორის 2016 წლის არჩევნებში დისციპლინური პასუხისმგებლობა ჰქონდათ შეფარდებული, თუმცა მონიტორების ინფორმაციით, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა ეს პირები მაინც აირჩიეს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებად.
- ასევე მონიტორების ინფორმაციით, ადგილი ჰქონდა იმ პირთა პროფესიული ნიშნით არჩევას საუბნო საარჩევნო კომისიებში, რომლებიც უახლოეს წარსულში წარმოადგენდნენ სხვადასხვა პარტიას საარჩევნო ადმინისტრაციაში.

მონიტორების ინფორმაციით, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს დაურიგდათ მოქალაქეთა სია, რომელთაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობისათვის საოლქო საარჩევნო კომისიას განაცხადით მიმართეს. აღსანიშნავია, რომ კომისიის წევრებს თითქმის ყველა შემთხვევაში თან ჰქონდათ აღნიშნული სიის სამუშაო ვერსია, სადაც წინასწარ ჰქონდათ მონიშნული ის კანდიდატები, რომელთაც სახელობითი კენჭისყრისას დაუჭერდნენ მხარს. კომისიის სხდომის მსვლელობისას კი სწორედ ამ სიის ფურცელზე მონიშნული ინფორმაცია გადაჰქონდათ მათთვის გადაცემულ კონკურსანტთა სიის ფურცელზე.

დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიებში ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნულმა წევრებმა უარი განაცხადეს კენჭისყრაში მონაწილეობაზე.<sup>35</sup> იყო შემთხვევები, როდესაც კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს, თუმცა ყველას წინააღდეგ ხმა მისცეს საოლქო საარჩევნო კომისიებში ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნულმა წევრებმა.<sup>36</sup>

რიგ შემთხვევებში, საოლქო საარჩევნო კომისიებში ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნულმა წევრებმა განსხვავებული აზრი დააფიქსირეს და უნდობლობა გამოუცხადეს პროცესს. იმ მოტივით, რომ კონკურსში მონაწილე კანდიდატების რაოდენობიდან გამომდინარე შეუძლებელი იქნებოდა გასაუბრების ჩატარება დადგენილ ვადებში, საოლქო საარჩევნო კომისიებმა უარი თქვეს კონკურსანტებს გასაუბრებოდნენ.

<sup>35</sup> მაგალითად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „საქართველოს ქრისტიან კონსერვატიული“ პარტიის, ასევე „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობისა“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს მიერ დანიშნულმა წევრებმა მონაწილეობა არ მიიღეს კენჭისყრაში ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიაში. ასევე კენჭისყრის პროცედურაში მონაწილეობა არ მიუღიათ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის“ მიერ დანიშნულ წევრებს კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

<sup>36</sup> ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიაში „ევროპული საქართველოს“, სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში - „ევროპული საქართველოს“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის“ და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ მიერ დანიშნულმა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა.

2017 წელს საუბნო საარჩევნო კომისიებში აირჩიეს ისეთი პირები, რომლებსაც წინა წლებში არჩევნებზე, როგორც კომისიის წევრებს მოვალეობის შეუსრულებლობის /არაჯეროვანი შესრულების გამო დაკისრებული ჰქონდათ პასუხისმგებლობა.<sup>37</sup>

საიას მის გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზისას ირკვევა, რომ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო კომისიებში პროფესიული ნიშნით არჩეულნი არიან ისეთი წევრები, რომლებიც 2016, 2014, 2013 წლების არჩევნებზე სხვადასხვა პარტიის მიერ იყვნენ წარდგენილი კომისიის წევრებად საარჩევნო ადმინისტრაციაში.<sup>38</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა არ უკრძალავს საოლქო საარჩევნო კომისიებს, სხვა არჩევნებზე პარტიული სიით გამწესებული წევრები პროფესიული ნიშნით დანიშნოს საუბნო საარჩევნო კომისიებში, ვფიქრობთ მსგავსი ტენდენცია საფრთხის შემცველია საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ საზოგადოების ნდობის თვალსაზრისით, ასევე ეჭვის ქვეშ აყენებს კომისიის წევრთა მიუკერძოებლობას და დამოუკიდებლობას.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პროფესიული წევრების კვოტით კომისიის შემადგენლობაში რეალურად იყვნენ წარმოდგენილნი დამოუკიდებელი, კომპეტენტური კადრები, და არა რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან ასოცირებული ან მისდამი ლოიალურად განწყობილი ადამიანები. აღნიშნულმა მონიტორინგმა დაგვარწმუნა რომ ეს პრინციპი არ იყო დაცული. მონიტორინგის შედეგები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესის გადახედვა, განსაკუთრებით, მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ.

## VII. საარჩევნო სუბიექტების დაფინანსება და სახელმწიფო აუდიტის სამსახური

- საარჩევნო სუბიექტების დაფინანსება

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პარტიების დაფინანსების მონიტორინგის საქმიანობის შუალედური ანგარიში წარმოადგინა.<sup>39</sup> აღნიშნული ანგარიშის თანახმად, 2017 წლის 1 ივლისიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით, საარჩევნო სუბიექტებმა ჯამში 12,998,651.16 ლარის შემოწირულება მიიღეს. კერძოდ, „ქართულმა ოცნებამ“ ჯამში

<sup>37</sup> ახალქალაქი -10, ახალციხე -9, კასპი-7, გორი-7, ქარელი-25, ხაშური 2, ადიგენი 2, ასპინძა 1, ჭიათურა - 2, წყალტუბო -19, ვანი -6, ზესტაფონი -14, ტყიბული 7, ბაღდათი -9, ხონი 5, ხარაგაული 10, ქუთაისი - 82, მარნეული -13, გარდაბანი -6, ბოლნისი 3, თეთრიწყარო -2

<sup>38</sup> მაგალითად, ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული 612 წევრიდან 272 შემთხვევაში ისეთი პირების იყვნენ არჩეული, რომლებიც სხვადასხვა არჩევნებზე პარტიული სიით იყო წარდგენილი კომისიაში. ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული 390 წევრიდან 177 შემთხვევაში ისეთი პირების იყვნენ არჩეული, რომლებიც სხვადასხვა არჩევნებზე პარტიული სიით იყო წარდგენილი კომისიაში.

<sup>39</sup> <https://www.sao.ge/files/News%20Files/2017-clis-archevnebis-shualeduri-angarishi.pdf>

11,640,441.00 ლარის შემოწირულება მიიღო, „ევროპულმა საქართველომ“ - 931,083.95 ლარი, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ - 108,149.21 ლარი, „პატრიოტთა ალიანსმა“ - 63,142.00 ლარი, „ახალმა საქართველომ“ - 35,100.00 ლარი, „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ - 31,486.00 ლარი, დომენტი სიჭინავამ - 50,150.00 ლარი, ალექსანდრე ელისაშვილმა - 31,431.00 ლარი, გულო ზუმბაძემ - 15,500.00 ლარი, სხვა საარჩევნო სუბიექტებმა ჯამში - 92,168.00 ლარი.

პარტიების დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ გავრცელებული ინფორმაციით ზოგიერთი პოლიტიკური პარტიების შემომწირველი ბოლო დროს სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში იღებენ მონაწილეობას და იმარჯვებენ კიდევ.<sup>40</sup>

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, არჩევნების დანიშვნის დღიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით საარჩევნო სუბიექტების მიერ ჯამურად განხორციელებულია სულ 8,835,900.00 ლარის ხარჯი, აქედან 6,983,756 ლარის ხარჯი გაწეული აქვს მმართველ პარტიას. რაც შეეხება რეკლამის ხარჯებს, ამავე პერიოდში რეკლამისათვის გახარჯულია 5,805,562.00 ლარი, აქედან ყველაზე მეტი 4,939,306 ლარი გახარჯული აქვს მმართველ პარტიას.<sup>41</sup>

- სახელმწიფო აუდიტის სამსახური

საანგარიშო პერიოდში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად იქცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ახალი გენერალური აუდიტორის, ირაკლი მექვაბიშვილის მიერ წინამორბედი აუდიტორის ორი მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლება და თანამდებობაზე

---

<sup>40</sup> <http://www.tabula.ge/ge/story/125042-ti-2014-2017-tslebshi-ocnebis-shemomtsirvelebis-10-ma-kompaniam-meriis-61-tendershi>

მაგალითად იურიდიულმა პირმა “შპს შარამ”, რომელმაც აგვისტოს თვეში “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” ფულადი შემოწირულობის სახით გარკვეული რაოდენობის თანხა ჩაურიცხა, 2017 წლის ივლისი-აგვისტოს თვეში სამ ტენდერში გაიმარჯვა. ერთ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ქარელის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერს, რომლის ღირებულება 724 500 ლარს შეადგენდა. (იხ. ხელშეკრულება

<https://tenders.procurement.gov.ge/public/library/contract.php?go=226947>)

შპს “შარამ” მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში ასევე სსიპ დავით აღმაშენებლის თავდაცვის ეროვნული აკადემიისა(იხ.

ხელშეკრულება <https://tenders.procurement.gov.ge/public/library/contract.php?go=227433>)

და გორის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში გაიმარჯვა.

იხ.ხელშეკრულება <https://tenders.procurement.gov.ge/public/library/contract.php?go=227117>

<sup>41</sup> <https://www.sao.ge/files/News%20Files/2017-clis-archevnebis-shualeduri-angarishi.pdf>

მხოლოდ იმ მოადგილის დატოვება,<sup>42</sup> რომელიც წარსულში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი და ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი ბანკ „ქართუს“ გენერალური დირექტორი იყო.

მომხდარ ფაქტთან მიმართებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახალ გენერალურ აუდიტორს ბუნებრივია აქვს უფლებამოსილება, რომ მისთვის სასურველი მოადგილეები დანიშნოს, თუმცა ის ფაქტი, რომ გათავისუფლდნენ პოლიტიკურად ნეიტრალური მოადგილეები და თანამდებობა შეინარჩუნა მმართველ პარტიასთან დაკავშირებულმა პირმა, წარმოქმნის ეჭვებს **გადაწყვეტილების პოლიტიკური მოტივაციის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით საიამ** მოუწოდა გენერალურ აუდიტორს, იყოს მიუკერძოებელი თავის საქმიანობაში და არ მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ეჭვს წარმოქმნის მისი პოლიტიკური მოტივაციის დამიკერძოების შესახებ, რაც საბოლოოდ ზიანს აყენებს აუდიტის სამსახურის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის რეპუტაციას და მის მიმართ საზოგადოების ნდობას.<sup>43</sup>

დადებითად უნდა შეფასდეს საანგარიშო პერიოდში 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიციატივით დროებითი საკონსულტაციო კომისიის შექმნა,<sup>44</sup> რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გამჭვირვალობის ზრდას პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 15 არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად მონაწილეობას იღებდა საბჭოს მუშაობაში.<sup>45</sup>

მიმდინარე პერიოდში საიამ სავარაუდო დარღვევის თაობაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ჯამში 3 განცხადება წარადგინა და კანონმდებლობის ფარგლებში შესაბამისი რეაგირებისაკენ მოუწოდა. ერთ შემთხვევაში საქმე შეეხებოდა “დინამო არენაზე” გამართულ საქველმოქმედო მატჩს “მსოფლიოს ვარსკვლავები საქართველოსთვის”, რომელშიც თბილისის მერობის კანდიდატმა კახი კალაძემაც ითამაშა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ღონისძიებას საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უწევდა ორგანიზებას,<sup>46</sup> რომელიც წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს და მას მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის “გ” ქვეპუნქტის თანახმად აკრძალული აქვს შემოწირულობის განხორციელება. საიას

---

<sup>42</sup><http://sao.ge/news/928>

<sup>43</sup><https://gyla.ge/ge/post/generaluri-auditoris-gadatsyvetileba-politikuri-motivaciis-etchvebs-achens#sthash.no4Ef2T4.v076RdW1.dpbs>

<sup>44</sup><http://sao.ge/news/911>

<sup>45</sup><https://docs.google.com/viewerng/viewer?url=https://gyla.ge/files/news/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D+%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98+2.pdf>

<sup>46</sup><https://setanta.ge/articles/1598/varskvlavttsvena-dinamo-arenaze>

**შეფასებით**, ხარჯი, რომელიც გაწია ფეხბურთის ფედერაციამ ამ მმატჩის ორგანიზებისთვის, წარმოადგენდა საარჩევნო სუბიექტისადმი განხორციელებულ შემოწირულებას, რისი უფლებაც ფეხბურთის ფედერაციას, როგორც ააიპს არ ჰქონდა.<sup>47</sup>

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიმართა საიამ ამავე საქველმოქმედო მატჩზე უცხოეთის მოქალაქის მიერ, თბილისის მერობის კანდიდატის, კახი კალაძის, სასარგებლოდ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის ფაქტის შესახებ<sup>48</sup> და ასევე მმართველი პარტიის თბილისის მერობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრაზე, თბილისის ბაგა-ბაღების თანამშრომლების ორგანიზებულ დასწრებასთან დაკავშირებითაც. სამივე შემთხვევაში წარდგენილი განცხადებები ამ ეტაპზე შესწავლის პროცესშია.

რაც შეეხება სხვა სუბიექტთა საჩივრებსა და განცხადებებს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, საჩივრებისა და მედია მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 15 საკითხთან დაკავშირებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია და გამოსაკითხად დაიბარა შესაბამისი პირები. ამავე ინფორმაციით, არჩევნების პერიოდში სამსახურმა 4 სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა პოლიტიკური გაერთიანებების წინააღმდეგ, ხოლო 61 ოქმი დამოუკიდებელი კანდიდატების წინააღმდეგ, რომლებსაც პერიოდულად აგზავნის სასამართლოში.<sup>49</sup> შემოწირულებების შესწავლის მიზნით, სამსახურის მიერ გაიგზავნა მოთხოვნა 544 ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ, ხოლო იურიდიულ პირებთან მიმართებაში მიმდინარეობს შესწავლა მათი საბოლოო ბენეფიციარების, შესყიდვებში მონაწილეობისა და მიღებული შემოსავლების შესწავლის მიზნით. ანგარიშის თანახმად, ფიზიკური პირების შემოწირულებების ანალიზის დროს დამატებითი კითხვების არსებობის გამო, გამოკითხვაზე დაბარებულია 31 პირი, საიდანაც 13 არის „ევროპული საქართველოს“ შემომწირველი, ხოლო 18 - „ქართული ოცნების“. ამ ეტაპზე უკვე გამოკითხულია „ევროპული საქართველოს“ 10 და „ქართული ოცნების“ 4 შემომწირველი ფიზიკური პირი.<sup>50</sup>

## VIII. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები

<sup>47</sup> <https://gyla.ge/ge/post/saias-ganckhadeba-msoflios-varskvlavebi-saqartvelostvis-matchshi-kakhi-kaladzis-monatsileobis-sheesakheb#sthash.CcCUMJYB.dpbs>

<sup>48</sup> <https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=5791>

<sup>49</sup> <https://www.sao.ge/files/News%20Files/2017-clis-archevnebis-shualeduri-angarishi.pdf>

<sup>50</sup> <https://www.sao.ge/files/News%20Files/2017-clis-archevnebis-shualeduri-angarishi.pdf>

საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორებმა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების 9, ხოლო წინასაარჩევნო აგიტაციაში უკანონო მონაწილეობის 5 ფაქტი დააფიქსირეს. საიას იურისტებმა შესაბამისი განცხადებებით საარჩევნო ადმინისტრაციასა და საარჩევნო კომისიებს მიმართეს. საიას საჩივრების საფუძველზე, ცალკეულ შემთხვევებში (სულ 1 შემთხვევა) შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი და საქმე შესასაწვლად სასამართლოს გადაეგზავნა.

## ბორჯომი

მედიაში გასული ინფორმაციის თანახმად, 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, ქ. ბორჯომში, ბორჯომის №1 საჯარო სკოლის მონაწილეობით ჩატარდა ასფალტზე ხატვის აქცია.<sup>51</sup> აქცია გაფორმებული იყო „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ პარტიული დროშებით. აღნიშნული დროშები დაურიგდათ სკოლის მოსწავლეებს. პედაგოგის მიმართ შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, საქმე სასამართლოდ გადაეგზავნა.

## შუახევი

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის 18 სექტემბერს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ სხეფის საჯარო სკოლის ერთ-ერთ სასწავლო ოთახში დაფიქსირდა სკოლის მოსწავლეთათვის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ დროშებით ხელში ფოტოს გადაღებისა და სკოლის პერსონალის მიერ სოციალურ ქსელში განთავსების ფაქტი.<sup>52</sup>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, სკოლის დისციპლინურმა კომიტეტმა შეისწავლა მითითებული საკითხი და პედაგოგ მარინა დარჩიძეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა - „საყვედური“.<sup>53</sup> შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ სხეფის საჯარო სკოლას“ მიეცა წერილობითი გაფრთხილება“. შუახევის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნული ფაქტი, პედაგოგის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც გადაგზავნილ იქნა შესაბამის სასამართლოში“.<sup>54</sup> საარჩევნო კოდექსის 81-ე მუხლის დარღვევის გამო, სკოლის პედაგოგი 1000 ლარით დაჯარიმდა.

<sup>51</sup> <http://borjomi.tv/axali-ambebi/article/5446-skolisaqciaqarthuliocebisdroshebisfonze>

<sup>52</sup> <http://reginfo.ge/people/item/2696-shuaxeveshi-pirvelklaselebs-gakvetilize-%E2%80%9Eeqartuli-oznebis%E2%80%9C-droshebi-bqondat>

<sup>53</sup>

<http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2FIATF%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2001.10.17.pdf>

<sup>54</sup> <https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=5725>

## მარნეული

4 ოქტომბერს, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოს კულტურის სახლში, დაახლოებით, 11:00საათზე პარტია „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი თეიმურაზ აბაზოვი პარტიის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ამომრჩევლებს შეხვდა.<sup>55</sup>

სადახლოს N2 საჯარო სკოლის დირექტორი შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა და მოსახლეობას მოუწოდა აქტიურად ჩაერთონ არჩევნებში, ხმა კი პარტია „ქართულ ოცნებას“ მისცენ.

შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოების დიდ ნაწილს #2 საჯარო სკოლის მასწავლებლები და უფროსკლასელები წარმოადგენდნენ.

## ზუგდიდი

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზუგდიდში "ქართული ოცნების" წინასაარჩევნო შეხვედრაზე ფოთიდან რამდენიმე ათეული ადამიანი, მათ შორის, საჯარო მოხელეები, ავტობუსებითა და მიკროავტობუსებით მიიყვანეს.<sup>56</sup>

კანდიდატების წარდგენას, სამეგრელოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული საჯარო მოხელეები, ძირითადად, სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგები ესწრებოდნენ.<sup>57</sup>

<sup>55</sup> <http://marneulifm.ge/ka/2017/10/05/administraciuli-resursis-gamoyeneba/>

<sup>56</sup> <http://www.radioatinati.ge/archevnebi-2016/article/62085-ocnebis-kandidatebis-tsardgenaze-samegrelos-yvela-municipalitetidan-chamovidnen-video.html>

<sup>57</sup>

<https://odishi.ge/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/2818-16%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%96%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90.html>

მოსწავლეებს „ქართული ოცნების“ 41 ნომრიანი ლურჯი მაისურები ეცვათ. მათი თქმით მათ კონცერტზე წამოსვლა შესთავაზეს.<sup>58</sup>

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საკითხი შეისწავლა და გამორიცხა სკოლის დირექტორების და პედაგოგების მხრიდან აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების დავალების ფაქტი. სამინისტროს განმარტებით, ღონისძიება ითვალისწინებდა კონცერტის გამართვას და არ იყო გამორიცხული, რომ არასამუშაო დღეს საზოგადოება პირადი ინიციატივით იმყოფებოდა ღონისძიებაზე. საიას მონიტორების ინფორმაციით, აქციაზე მყოფ რამდენიმე მოქალაქის მხრიდან დადასტურდა როგორც მმართველი პარტიის მიერ ტრანსპორტირება აქციაზე, თუმცა სხვა მოქალაქეების თქმით, მათ ტრანსპორტირება საკუთარი ხარჯებით განახორციელეს.<sup>59</sup>

## ზუგდიდი

მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს 18:00 საათზე „ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში“ „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ ზუგდიდის მერობის კანდიდატი - ლაშა გოგია, სკოლის დირექტორებს და პედაგოგებს შეხვდა.<sup>60</sup> ჩვენი ინფორმაციით, შეხვედრა „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ მიერ იყო ორგანიზებული. შეხვედრას ესწრებოდა ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი კახაბერ ფარცვანია, რომელმაც სკოლის პედაგოგებს და დირექტორებს მოუწოდა მხარი „ქართული ოცნების“ მერობისა და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებისთვის დაეჭირათ. მისი განმარტებით: „არასამუშაო დროს კონსტიტუცია მაძლევს იმის საშუალებას რომ მსგავსი განცხადება გავაკეთო, მე მოგიწოდებთ მხარი დაუჭიროთ ლაშა გოგიას... ბევრი საქმე გაკეთდა ჩვენს სკოლებში, მაგალითად საპირფარეშოები მოწესრიგდა, შემოიღობა სკოლა.. მანამდე ამდენი პროექტი არ განხორციელებულა... ყველა გონიერი ადამიანი მხარს დაუჭერს ლაშა გოგიას. მინდა რომ პირველივე ტურში ვიზეიმო თქვენი წარმატება“.<sup>61</sup>

## ყვარელი

---

<sup>58</sup><https://odishi.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/2817->

<sup>59</sup>

<http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2FIATF%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2001.10.17.pdf>

<sup>60</sup> <http://www.livepress.ge/ka/akhali-ambebi/article/20819-lashagogiapedagogebiufasodimgzavrebenvideo.html>

<sup>61</sup> <http://www.livepress.ge/ka/akhali-ambebi/article/20819-lashagogiapedagogebiufasodimgzavrebenvideo.html>



ყვარლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელ ქეთევან ჭიპაშვილის მიერ სამუშაო საათებში „ფეისბუქზე“ განთავსდა პოსტი,<sup>62</sup> სადაც „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ყვარლის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატისადმი ღია მხარდაჭერა გამოცხადებული რესურსცენტრისა და ყვარლის საჯარო სკოლების სახელით.

**ზემოთდასახელებულ შემთხვევებში ხელმძღვანელი პირების მიმართვა/მოწოდება დაქვემდებარებული პირების მიმართ, შესაძლოა წარმოადგენდეს/აღქმული იყოს, როგორც გავლენის მოხდენის მცდელობა პედაგოგების თავისუფალ ნებაზე.**

### **საბავშვო ბაღების თანამშრომლები**

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მმართველი პარტიის თბილისის მერობის კანდიდატის კახა კალაძის წინასაარჩევნო შეხვედრებზე თბილისის საბავშვო ბაღების თანამშრომლების ორგანიზებული დასწრება ხდებოდა.<sup>63</sup> მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბაღებში დასაქმებულ პირები ადასტურებენ, რომ ისინი რამდენიმე დღით ადრე გააფრთხილეს, რომ უნდა დასწრებოდნენ მმართველი პარტიის თბილისის მერობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრას, რომელიც უნდა გამართულიყო თბილისში, 24 სექტემბერს, კვირა დღეს. ამავე ინფორმაციის თანახმად, ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა და უზრუნველყოფილი იყო ბაღების თანამშრომელთა ტრანსპორტირებაც.

გარდა ამისა, საიას მონიტორებისთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თელავის და ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში პარტიული შეხვედრებისთვის იბარებდნენ ბაღების პედაგოგებს და ავალდებულებდნენ მმართველი პარტიის კანდიდატების შეხვედრებზე დასწრებას. პედაგოგებს სთხოვდნენ, რომ წინასაარჩევნო შეხვედრებზე დამატებით კიდევ ერთი ადამიანი („მხარდამჭერი“) მიეყვანათ. ერთ-ერთმა ბაღის პედაგოგმა საიას დამკვირვებელთან საუბარში განმარტა, რომ ეს ვალდებულება დაკისრებული ჰქოდა ყველა პედაგოგს და ბაღის აღმზრდელს, თუმცა პედაგოგებს ამ ფაქტებზე ღიად საუბარი არ სურდათ. საიას დამკვირვებელი თავად შეესწრო იმ ფაქტს, თუ როგორ ეძებდა ერთ-ერთი ბაღის პედაგოგი ადამიანს, რომელსაც თელავის მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნების“ საკრებულოს მაჟორიტარი კანდიდატის ზურაბ ლილუაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრაზე წაიყვანდა. დამკვირვებლის ინფორმაციით, მსგავსი შემთხვევები ახმეტაშიც ფიქსირდებოდა.

საიამ მიმართა როგორც უწყებათაშორის კომისიას, ასევე აუდიტის სამსახურს და განცხადებაში მოყვანილი ინფორმაციის შესწავლა და კომპეტენციის ფარგლებში რეაგირება მოითხოვა. ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტს სწავლობს თბილისის მერია, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისია. აღსანიშნავია, რომ ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა.

<sup>62</sup> [http://reginfo.ge/politics/item/2669-ybvarlis-saganmanatleblo-resurszentris-uproshis-xinaagmdeg-zesko-s-mimartes?fb\\_comment\\_id=1738677099539379\\_1738759796197776#f1e35f9e1dd282c](http://reginfo.ge/politics/item/2669-ybvarlis-saganmanatleblo-resurszentris-uproshis-xinaagmdeg-zesko-s-mimartes?fb_comment_id=1738677099539379_1738759796197776#f1e35f9e1dd282c)

<sup>63</sup> <http://rustavi2.ge/ka/news/85805>

## სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტური გამოძიება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სტუდია „მონიტორმა“ სოციალურ ქსელში გაავრცელა მათ მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების ვიდეოჩანაწერი.<sup>64</sup> დირექტორებს საგამომიებო ჯგუფის რეპორტიორები მობილურ ტელეფონზე, ბაღების სააგენტოს წარმომადგენლის სახელით დაუკავშირდნენ და ინფორმაცია ამ ფორმით მოიპოვეს.<sup>65</sup>

ჟურნალისტური გამოძიების მიხედვით, ბაგა-ბაღების დირექტორების ნაწილი „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიაში იყვნენ ჩართული და პარტიის სასარგებლოდ მხარდამჭერების სიებს ადგენდნენ, ხოლო ანგარიშს ბაღების სააგენტოს უგზავნდნენ. გასაჯაროებული მასალების მიხედვით, ასეთი დავალების არსებობას და მის შესრულებასაც კი, თავად დირექტორებიც ადასტურებდნენ.<sup>66</sup> თუმცა როდესაც სტუდია „მონიტორის“ წარმომადგენლებმა ბაღების დირექტორებს მოგვიანებით ისევ დაურეკეს და უთხრეს, რომ ისინი ჟურნალისტები იყვნენ და არა სააგენტოს თანამშრომლები, დირექტორებმა ყველაფერი უარყვეს. აღსანიშნავია, რომ „რუსთავი 2“-თან სატელეფონო ინტერვიუში თბილისის ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა თემურ თორდინავამ უარყო გავრცელებული ინფორმაცია საბავშვო ბაღების დირექტორების ჩართულობაზე. მან განაცხადა, რომ სტუდია „მონიტორის“ სიუჟეტიდან არ იკვეთებოდა, რომ ეს ადამიანები ბაღის დირექტორები იყვნენ და რომ ჩანაწერში ართლაც ისინი საუბრობდნენ.<sup>67</sup>

## მთავრობის დადგენილება ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებულ პირებთან დაკავშირებით

საანგარიშო პერიოდში, ძალაში შევიდა მთავრობის დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა 2017 წელს გაუქმებული მუნიციპალიტეტების<sup>68</sup> პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების დროებითი წესი.<sup>69</sup>

აღსანიშნავია ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე ცვლილებები, რომლებიც მმართველმა გუნდმა წინასაარჩევნოდ, თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის გარეშე დაგეგმა,<sup>70</sup> რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხსა და მის დეცენტრალიზაციაზე.<sup>71</sup>

დაჩქარებულ რეჟიმში, ყოველგვარი საგნობრივი მსჯელობისა<sup>72</sup> და მუნიციპალიტეტების გაერთიანების პირობებში, ადამიანური და მატერიალური საჭიროების კონკრეტული

<sup>64</sup> <http://rustavi2.ge/ka/news/86636>

<sup>65</sup> <http://medianews.ge/ge/studia-monitoris-mier-chatarebuli-gamodzieba-romelits-baga-baghebis-direqtoresb-sheekheba-araseriozulia-temur-tordinava/33333>

<sup>66</sup> <http://rustavi2.ge/ka/news/86636>

<sup>67</sup> <http://rustavi2.ge/ka/news/86636>

<sup>68</sup> თელავის, გორის, მცხეთის, ახალციხის, ამბროლაურის, ზუგდიდისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტები.

<sup>69</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3797704>

<sup>70</sup> <http://netgazeti.ge/news/201447/>

<sup>71</sup> <https://gyla.ge/ge/post/ngo-ebis-mimartva-saqartvelos-parlamentis-tsevrebs#sthash.eJg8Wv48.dpbs>

<sup>72</sup> <https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciata-mimartva#sthash.50aE1Zm9.dpbs>

მონაცემების შესწავლის/ანალიზის გარეშე დაგეგმილი პროცესები, აჩენდა საარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების რისკებს.<sup>73</sup>

შეფასების სპეციალური დროებითი წესის შემოღება და შეფასების განხორციელება არ იყო მიზანშეწონილი და აჩენდა სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკს. შეიძლებოდა რომ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება მომხდარიყო პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ, რაც წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურად ნეიტრალური საჯარო სამსახურის შექმნას მნიშვნელოვნად შეაფერხებდა.

ისიც აღსანიშნავია, რომ მობილობის განხორციელებისათვის კანონი არ ითვალისწინებს შეფასების განხორციელების საჭიროებას და მისი შედეგების გათვალისწინების აუცილებლობას. ნებისმიერი პირი უნდა დაექვემდებაროს მობილობას მიუხედავად მისი შეფასების შედეგებისა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შეფასების სპეციალური დროებითი წესის დადგენა მობილობის წარმართვის წინაპირობის სახით არ იყო მიზანშეწონილი, რადგანაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შეფასება სიახლეს წარმოადგენდა საჯარო სამსახურის სისტემაში, რომელიც 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდებოდა და შეფასების მინიმალური სტანდარტის მიხედვით: საჯარო მოხელისათვის წლის დასაწყისში ცნობილი უნდა იყოს შეფასების თაობაზე, შეფასების კრიტერიუმები და წესი, რაც აღნიშნულ შემთხვევაში დაცული არ იყო.

აგრეთვე ახლადშექმნილ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირები სხვა საჯარო მოხელეებთან მიმართებაში არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, ვინაიდან ისინი დამატებით გაივლიდნენ შეფასებას.

## ოზურგეთი

---

<sup>73</sup> 2017 წლის 26 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, საქართველოს მთავრობას დაევალა მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე გაუქმებულ და ახლად შექმნილ მუნიციპალიტეტებში განესაზღვრა რიგი პროცედურები, მათ შორის, საჯარო სამსახურის ბიუროს წარდგინებით, გაუქმებული მუნიციპალიტეტების პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების დროებითი წესი, რომლის მიხედვით, იმ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული მოხელეები, რომლებიც პარლამენტის დადგენილებით გაუქმდა, გასაუბრებას გაივლიან და შეფასდებიან სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. შეფასების შედეგები გათვალისწინებული იქნება არჩევნების შემდგომ დაგეგმილი მობილობისას. დადგენილებით, ასევე განისაზღვრა, რომ აღნიშნული პროცესი უნდა დასრულდეს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგ არჩევნებამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს გაზეთ „გურია ნიუს“-ში გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად,<sup>74</sup> "ქართული ოცნების" მერობის კანდიდატი, ქალაქ ოზურგეთის მოქმედი მერი ბეგლარ სიორიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ.ნატანებში მდებარე საარჩევნო შტაბში სამსახურებრივი ავტომანქანით იყო მისული. მიგვაჩნია, რომ ამ ქმედებით ბეგლარ სიორიძის მხრიდან ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას.

აღნიშნულ ფაქტი დასტურდებოდა როგორც მოწმის, ასევე შესაბამისი ფოტო მასალით, რომელზეც აღნიშნული იყო ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით: FCF 919.

აღნიშნულთან დაკავშირებით საიას ოზურგეთის ოფისმა მიმართა ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიას და ადმინისტრაციული რესურსი გამოყენების გამო ბეგლარ სიორიძის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა მოითხოვა. საქმე განხილვაშია.

## ოზურგეთი

მიმდინარე წლის 10 სექტემბერს გაზეთ „გურია ნიუს“-ში გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად,<sup>75</sup> ოზურგეთში გამართულ პარტია "ქართული ოცნების" მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, სადაც პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა გურიის მუნიციპალიტეტების მერობის კანდიდატები წარადგინა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი გაია გიორგაძე გამგეობის ბალანსზე მყოფი სახელმწიფოს კუთვნილი ავტომობილით იყო მისული. ამ ქმედებით გაია გიორგაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას.

აღნიშნული ფაქტი დასტურდებოდა თავად „გურია ნიუსის“ ჟურნალისტის მის მიერ გადაღებული ფოტო მასალით, რომელზეც ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით: SAC 555 იყო გამოსახული. საყურადღებოა, რომ ავტომანქანა ჟურნალისტის მიერ დაფიქსირდა ქალაქ ოზურგეთის თეატრალურ მოედანზე, სადაც ამ შეხვედრის მიმდინარეობისას კერძო პირთა მანქანებს არ უშვებდნენ.

მიმდინარე წლის 18 სექტემბერს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მიმართა №62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიას ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენების ფაქტთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საქმის წარმოების დაწყებისა და შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.<sup>76</sup> #62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიამ ჩაატარა მოკვლევა და დაადგინა, რომ გაია

<sup>74</sup> <http://www.gurianews.com/article/g-news-tv/administratsiuli-resursi-gamoqenebis-pakti-otsnebis-shekhvedraze-kortsilshi-viqavi-video>

<sup>75</sup> <http://www.gurianews.com/article/g-news-tv/administratsiuli-resursi-gamoqenebis-pakti-otsnebis-shekhvedraze-kortsilshi-viqavi-video>

<sup>76</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის 18 სექტემბრის განცხადება №გ/04-09 (ოლქში რეგისტრაციის №529) - იხ. დანართი №1

გიორგაძე არ მონაწილეობდა 10 სექტემბრის შეხვედრაში.<sup>77</sup> გია გიორგაძის განმარტების თანახმად იგი ოზურგეთში პირად საქმეზე იმყოფებოდა. შესაბამისად, #62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიზანშეუწონლად მიიჩნია ჩოხატაურის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა.<sup>78</sup>

აღნიშნულთან დაკავშირებით, 4 ოქტომბერს საიამ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საჩივრით მიმართა. ცესკოს ნაწილობრივ დააკმაყოფილა საიას [საჩივარი](#) - გაუქმდა №62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 27 სექტემბრის №131 გადაწყვეტილება. №62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დაევალა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებაში დასახელებული მოწმის გამოკითხვა და საქმეში არსებული მასალების შესწავლის შედეგად ახალი გადაწყვეტილების მიღება. რაც შეეხება ჩვენს მოთხოვნას ოლქის თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების ნაწილში, ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

## წინასაარჩევნო კამპანიის წესების დარღვევა

### გორი

გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის გელა კაპანაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა წინასაარჩევნო კამპანიაში უკანონო მონაწილეობას.<sup>79</sup> კერძოდ, გამგებლის მოადგილე გელა კაპანაძე, 2017 წლის 21 სექტემბერს, სამუშაო საათებში (15:52 საათზე) იმყოფებოდა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს გორის ოფისში, რასაც ადასტურებს ტელეკომპანია „თრიალეთი“-ს ჟურნალისტის მიერ „ქართული ოცნების“ ოფისში გელა კაპანაძესთან ჩაწერილი ინტერვიუ. ინტერვიუში კაპანაძე აღნიშნავს, რომ იგი არის პოლიტიკური თანამდებობის პირი და მას აქვს სამუშაო საათებში „ქართული ოცნების“ ოფისში ყოფნის უფლება.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით 4 ოქტომბერს, საიას გორის ოფისმა მიმართა გორის საოლქო საარჩევნო კომისიას და გამგებლის მოადგილის მიმართ ადმინისტრაციულ

<sup>77</sup> №62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება №131 - იხ. დანართი №2

<sup>78</sup> აღსანიშნავია, რომ №62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სრულყოფილად არ შეისწავლა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებაში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები, არაჯეროვნად ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება და შესაბამისად, მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის შესახებ.

<sup>79</sup> ტელეკომპანია „თრიალეთი“-ს ვებ-გვერდზე 2017 წლის 21 სექტემბერს განთავსებული სიუჟეტი <http://www.trialeti.ge/?menuid=2&lang=1&id=8557>

სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა მოითხოვა. 11 ოქტომბერს გორის საოლქო საარჩევნო კომისიამ შეადგინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი და საქმე სასამართლოში გადააგზავნა.<sup>80</sup>

### **თბილისი, ფეხბურთის მმატჩი**

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია „ვითიბი ბანკთან“ და ლუდ „აისთან“ ერთად, 29 სექტემბერს, 21:00 საათზე, „დინამო არენაზე“ საქველმოქმედო მატჩის სახელწოდებით „მსოფლიოს ვარსკვლავები საქართველოსთვის.“ გამართვას გეგმავდა<sup>81</sup>

იმავე დღეს, მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩს მსოფლიო ვარსკვლავებთან ერთად „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძეც ითამაშებდა.

როგორც კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა: „იურიდიულად იდგა საკითხი, შეიძლებოდა თუ არა მატჩში ჩემი მონაწილეობა, ვინაიდან საარჩევნო პერიოდში ვარ და ახლა დადასტურებულად შემოდის გითხრათ, რომ მონაწილეობას მივიღებ.“ ასევე, მან დაადასტურა, რომ მსოფლიო ვარსკვლავებთან დაკავშირება უშუალოდ მას სთხოვეს, გამომდინარე იქიდაა რომ მათთან მეგობრობს.<sup>82</sup>

როგორც მედიაში გავრცელებული ინფორმაციიდან იკვეთებოდა, საფეხბურთო მატჩში თბილისის მერობის კანდიდატთან, კახა კალაძესთან ერთად მონაწილეობას მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები მიიღებდნენ და მატჩიდან შემოსული თანხა ბორჯომის ტყის დამწვარი ტერიტორიის აღდგენას მოხმარდებოდა. ბილეთების გაყიდვა ონლაინ რეჟიმში, საიტზე TKT.GE 24 სექტემბერს 15:00 საათზე დაიწყო. ბილეთების ფასი 5, 10, 15 და 25 ლარი იქნებოდა.

ჩვენი მოსაზრებით, აღნიშნულ ქმედებაში, სავარაუდოდ, იკვეთებოდა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევა წინასაარჩევნო აგიტაციის წესებისა და უკანონო შემოწირულობის კუთხით.

ჩვენი შეფასებით, ფეხბურთის მატჩი, რომელიც მსოფლიო ვარსკვლავებისა და თბილისის მერობის კანდიდატის კახა კალაძის მონაწილეობით მმართველი პარტიის თბილისის მერობის კანდიდატის კახა კალაძის პოზიტიურად წარმოჩენას ემსახურებოდა და მის არჩევას უწყობდა ხელს. შესაბამისად, ხარჯი, რომელსაც გასწევდა ფეხბურთის ფედერაცია ამ შეხვედრის ორგანიზებისთვის, წარმოადგენდა საარჩევნო სუბიექტისადმი განხორციელებულ შემოწირულობას, მატერიალურ ან არამატერიალურ ფასეულობის სახით, რისი უფლებაც ფეხბურთის ფედერაციას, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) პირს არ ჰქონდა. აგრეთვე აღნიშნულ ფეხბურთის მმატჩში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ფეხბურთის

<sup>80</sup><http://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/6658-telekompaniathriaethidagelakanadzesasamarthloshishekhvdebian>

<sup>81</sup> <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/453012-fekhburthis-msoflio-varskvlavebis-monatsileobith-matchis-bilethebidan-shemosuli-thankha-borjomis-tyis-damtsvari-teritoriis-aghdgenas-mokhmardeba.html>

<sup>82</sup> <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/453101-saqvelmoqmedo-safekhburtho-matchshi-msoflio-varskvlavebthan-erthad-kakha-kaladzec-ithamashebs.html>

ვარსკვლავებს, რომლების უცხო ქვეყნის მოქალაქეებს წარმოადგენდნენ. საარჩევნო კოდექსის თანახმად კი, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს არ ჰქონდათ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით *საიამ მიმართა როგორც საქართველოს ცენტრალურ* საარჩევნო კომისიას, ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას, რათა შეესწავლათ ზემოაღნიშნული ფაქტი და კომპეტენციის ფარგლებში მოეხდინათ სათანადო რეაგირება. ასევე საიამ მოუწოდა ფეხბურთის მსოფლიო ვარსკვლავებსა და თბილისის მერობის კანდიდატს, პატივი ეცათ და დაეცვათ საქართველოს კანონმდებლობა, საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

საიას მიმდინარე წლის 21 სექტემბრის #გ-01/339-17 განცხადებაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმავე წლის 25 სექტემბრის #01-02/1671 პასუხის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნებოდა საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, საარჩევნო ადმინისტრაცია კანონმდებლობით დადგენილ ქმედებებს განახორციელებდა.

ცესკომ ზემოთ აღნიშნული ფაქტი არ მიიჩნია წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევად და თავის [გადაწყვეტილებაში](#) განმარტა, რომ განცხადებაში მითითებული ღონისძიება წარმოადგენდა საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული და ჩატარებული იყო კონკრეტული საქველმოქმედო მიზნებიდან გამომდინარე. რადგანაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არ წარმოადგენდა საარჩევნო სუბიექტს, აღნიშნული ღონისძიება ვერ იქნებოდა განხილული როგორც წინასაარჩევნო კამპანიის შემადგენელი ნაწილი.

საია არ იზიარებს ცესკოს განმარტებას წინასაარჩევნო აგიტაციის წესების განსაზღვრის შესახებ.

### **თბილისი**

მედიაში გავცელებული ინფორმაციის თანახმად, საფეხბურთო მატჩში თბილისის მერობის კანდიდატთან, კახა კალაძესთან ერთად მონაწილეობას მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები მიიღებდნენ, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ანდრეი შევჩენკო. მატჩის დასრულების შემდეგ ანდრეი შევჩენკომ კახა კალაძეს სასარებლო აგიტაცია გასწია და განაცხადა: “დიდად მოხარული ვარ აქ ყოფნით. გულით ვუსურვებ წარმატებას ჩემს მეგობარ კახი კალაძეს. დარწმუნებული ვარ, ის კარგი მერი იქნება,”

ვინაიდან შევჩენკოს, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეს აგიტაციაში მონაწილეობისა და აგიტაციის გაწევის უფლება არ ჰქონდა, აღნიშნული ფაქტის შესწავლის მიზნით საიამ ცესკოსა და უწყებათაშორის კომისიას მიმართა.

12 ოქტომბერს ცესკომ აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა, ჩვენი განცხადება არ დააკმაყოფილა და მიიჩნია, რომ ანდრეი შევჩენკოს განცხადება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების სტანდარტში ჯდება.

## ხაშური

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მმართველი პარტიიდან ხაშურის #49-ე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის რამაზ ლომიძის მხრიდან ადგილი ჰქონდა აგიტაციაში მონაწილეობას. კერძოდ, რამაზ ლომიძე, 2017 წლის 4 ოქტომბერს იმყოფებოდა ხაშურის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის ილია კაპანაძის წინასაარჩევნო შეხვედრაზე, სადაც ეწეოდა მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერად აგიტაციას. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს ტელეკომპანია „თრიალეთი“-ს ვებ-გვერდზე 2017 წლის 6 ოქტომბერს განთავსებული სიუჟეტი.<sup>83</sup> 10 ოქტომბერს ამ ფაქტთან დაკავშირებით საიას გორის ოფისმა მიმართა ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიას და რამაზ ლომიძის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა მოითხოვა. საქმე განხილვის სტადიაზეა.

## ბათუმი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან ბათუმის #1 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის მარინა ჟღენტის მხრიდან ადგილი ჰქონდა აგიტაციაში მონაწილეობას. 2017 წლის 29 სექტემბერს სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო რგოლი, რომლითაც დგინდებოდა, რომ ბათუმის #1 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ამომრჩეველთა ბარათების დარიგების პარალელურად მოქალაქეს გადასცემდა პარტიის სააგიტაციო მასალას, რასაც თან ახლდა საპასუხო პროტესტი მოქალაქის მხრიდან.

საიამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმის წარმოების დაწყების მიზნით განცხადებით მიმართა #79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიას. ზემოთ აღნიშნული ფაქტის შესახებ კომისიისათვის ასევე მიმართული ჰქონდა სადამკვირვებლო ორგანიზაციას „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“, რომლის საჩივრის საფუძველზე შედგა სამართალდარღვევის ოქმი და შემდგომი რეაგირებისათვის ბათუმის საქალაქო სასამართლოში გადაიგზავნა. ჩვენი ინფორმაციით, სასამართლომ კომისიის წევრს ჯარიმის ნაცვლად შენიშვნა შეუფარდა.

<sup>83</sup> <http://trialeti.ge/?menuid=2&lang=1&id=8773>.



## IX. მუქარის, ზეწოლისა და ფიზიკური დაპირისპირების ფაქტები

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სავარაუდო მუქარა/ზეწოლის 10-ზე მეტი და ფიზიკური დაპირისპირების 5 ფაქტი. უწყებათაშორისი კომისიის შუალედური ანგარიშის თანახმად, მედიამონიტორინგის შედეგად და სამდივნოში სხვა წყაროებიდან წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, პროკურატურის ზედამხედველობით სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიება უმოკლეს ვადებში დაიწყო სულ სისხლის სამართლის 11 საქმეზე, მათ შორის 6 შემთხვევაშია ძალადობაზე.<sup>84</sup> ანგარიშის თანახმად, 1 საქმეზე შეწყდა გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. ხოლო გაგრძელდა სისხლის სამართლის 10 საქმეზე.

### ბეჟან გუნავას საქმე

საანგარიშო პერიოდში, 2017 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტთან „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ გამართულ შიმშილობის აქციაზე, სამგორის მაჟორიტარობის კანდიდატი ბეჟან გუნავა დააკავეს.<sup>85</sup>

აღნიშნულ აქციაზე „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები ცდილობდნენ პარლამენტის შენობასთან განეთავსებინათ პარტიის სიმბოლიკა, ბანერები. პოლიციამ მათ ამის გაკეთების უფლება არ მისცა, რასაც დაპირისპირება მოჰყვა პოლიციასა და აქციის მონაწილეებს შორის.

აღნიშნული ინციდენტის დროს, საპატრულო პოლიციამ ბეჟან გუნავა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლების საფუძველზე დააკავა, რაც პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას და წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს. საგულისხმოა, რომ დაკავებას წინ უძღოდა სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება „პატრიოტთა ალიანსის“ წევრებსა და სამართალდამცველებს შორის.

ბეჟან გუნავას პროცესი 2017 წლის 21 სექტემბერს უნდა გამართულიყო, თუმცა პროცესი 5 ოქტომბრისათვის გადაიდო.

საიას წარმომადგენლები თავიდანვე დაინტერესდნენ აღნიშნული ინციდენტით და მომხდარი თავად ბეჟან გუნავასთან გადაამოწმეს. საიას წარმომადგენლები სასამართლო

<sup>84</sup>

<http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2FIATF%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2001.10.17.pdf>

<sup>85</sup> <http://1tv.ge/ge/news/view/179766.html>

პროცესების მონიტორინგის ფარგლებში დაესწრნენ 2017 წლის 5 ოქტომბერს ჩანიშნულ პროცესს, თუმცა აღნიშნული პროცესი 2017 წლის 17 ოქტომბრისათვის გადაიდო.

### ლალი კბილაშვილის საქმე

2017 წლის 5 სექტემბერს თელავში გაიმართა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“-ს კანდიდატების წარდგენა. აღნიშნული შეხვედრის შესახებ, როგორც ჩვენთვის მოგვიანებით გახლდათ ცნობილი ინფორმირებული იყო მოქალაქე, **ლალი კბილაშვილი**, რომელიც თელავში ახორციელებს მიუსაფარი ძაღლების მოვლა-პატრონობას. ლალი კბილაშვილმა იმ საფუძველით, რომ მას თელავის მოსახლეობა ხშირად უპირისპირდება ძაღლების გამო, მოწამლული საკვების საშუალებით უზოცავს ძაღლებს და ავიწროებთ მათ, გადაწყვიტა შეხვედროდა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და ეთხოვა დახმარება პრობლემის მოგვარებაში. ამ მიზნით ლალი კბილაშვილმა ინგლისურ ენაზე ათარგმნინა ასევე სლოგანები, სადაც მოუწოდებდა პრემიერს დახმარებაზე, რომ შეეწყვიტათ მისი მფარველობის ქვეშ მყოფი ძაღლების დაზოცვა.

როგორც მან საიას თელავის ოფისის თანამშრომლებს განუცხადა, ხელში აიყვანა ერთი პატარა ლეკვი, ასევე ხელში დაიჭირა შესაბამისი წარწერებით გაფორმებული ბანერი და გაემართა შეხვედრის/ სცენის ადგილას მისი მიერ განზრახული სურვილის მიღწევის მიზნით.

ლალი კბილაშვილის განმარტებით, მაშინ როდესაც იგი იმყოფებოდა სცენის უკან მხარეს, მას მიაკითხეს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ჩასვეს პოლიციის კუთვნილ ავტომანქანაში, განუმარტეს, რომ ხელმძღვანელი პირებისაგან მიღებული დავალების თანახმად აუცილებელი იყო კბილაშვილის დროებით ქალაქიდან გაყვანა და შეხვედრის ადგილისთვის მოცილება, ამიტომ, შესთავაზეს რამდენიმე საათით მანქანით გასეირნება ქალაქის გარეთ, ასევე უთხრეს, რომ შეხვედრის დასრულების შემდეგ დააბრუნებდნენ მას თელავში.

როგორც ლალი კბილაშვილი განმარტავს, იგი მართლაც პოლიციის ავტომანქანით წაიყვანეს შუამთის მიმართულებით. მანქანით გადაადგილებისას მან სცადა გადახტომაც, ვინაიდან ჰქონდა შიში რომ არ მოეკლათ იგი, პოლიციის თანამშრომელთათვის წინააღმდეგობის გაწევისას მას გაეხა ტანისამოსი (კაბა) და ასევე მიიღო სხეულზე დაზიანებები.

როდესაც ლალი კბილაშვილი ქალაქში დამაბრუნეს უკვე დასრულებული იყო შესაბამისი შეხვედრა და პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“ კანდიდატთა წარდგენა.

ლალი კბილაშვილმა მას შემდეგ რაც თავი დააღწია პოლიციის თანამშრომლებს დარეკა „112“-ში, შესაბამისად, მასთან მივიდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რომელთაც განუცხადა ყოველივე იმ ფაქტის შესახებ, რასაც მისი მისამართით ჰქონდა ადგილი კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების მხრიდან.

როგორც ლალი კბილაშვილი განმარტავს, შემთხვევიდან მეორე დღეს მიაკითხეს კრიმინალური პოლიციიდან იმ პოლიციელებმა, რომელთაც წინა დღეს თავისუფლება შეუზღუდეს და სთხოვეს, რომ არ ეჩივლა მათთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში თუ იჩივლებდა სამსახურს დაკარგავდნენ, ამიტომ დიდი თხოვნის შემდეგ პირობა დაადებინეს, რომ არ უჩივლებდა.

მიუხედავად ლალი კბილაშვილის მიერ პოლიციის თანამშრომელთათვის მიცემული პირობისა, როგორც კბილაშვილი განმარტავს მის მიერ „112“-ში განხორციელებული ზარის საფუძველზე მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება, საქმეს იძიებს შსს -ს გენერალური ინსპექცია, ლალი კბილაშვილი შესაბამის ორგანოში დაიბარეს გამოკითხვის მიზნით.

დამატებით, როგორც ლალი კბილაშვილმა ჩვენთან საუბრისას განმარტა, მან ყოველივე ზემოთ აღნიშნული გარემოების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა სახალხო დამცველის წარმომადგენელს თელავში და სთხოვა დახმარება.

აღნიშნული ინფორმაცია საიამ უწყებათაშორის კომისიას მიაწოდა. თავის

მხრივ, უწყებათაშორისმა კომისიამ აღნიშნულზე რეაგირებისათვის მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელმაც განმარტა, რომ ლალი კბილაშვილს პოლიციასთან არავითარი პრეტენზია არ გააჩნია.<sup>86</sup>

პროკურატურის წარმომადგენლის მიერ 2 ოქტომბერს უწყებათაშორის კომისიაზე გაკეთებული განცხადების თანახმად, ფაქტზე პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

## ზესტაფონი

მიმდინარე წლის 03 სექტემბერს პ/გ "პატრიოტთა ალიანსის" ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის წევრის და მაჟორიტარობის კანდიდატის **პაატა გაბრიჭიძის** ავეჯის საამქრო ცეცხლის გაჩენის შედეგად დაიწვა.<sup>87</sup>

<sup>86</sup> შსს: „2017 წლის 5 სექტემბერს შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე (126) შემოვიდა მოქალაქე ლალი კბილაშვილის შეტყობინება, რომელშიც იგი მიუთითებდა, რომ ამავე დღეს იმყოფებოდა ქ. თელავში, სადაც დაგეგმილი იყო მოსახლეობის შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან. პოლიციელებმა იგი ძალის გამოყენებით ჩასვეს ავტომანქანაში და იძულებით დაატოვებინეს აღნიშნული ტერიტორია. ლ. კბილაშვილი მოგვიანებით კვლავ დაუკავშირდა ცხელი ხაზის ოპერატორს და ითხოვა მის მიერ გაკეთებული შეტყობინების გაუქმება. 2017 წლის 8 სექტემბერს მოხდა დაკავშირება ლ. კბილაშვილთან, მან სატელეფონო საუბრისას განაცხადა, რომ გამოცხადდებოდა შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, თუმცა, იგი უწყებაში არ გამოცხადდა და სატელეფონო ზარებსაც აღარ პასუხობდა, რის შემდგომაც გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება გამოცხადებასთან დაკავშირებით. იგი დღემდე არ გამოცხადებულა. ზემოაღნიშნული ინციდენტი გადამოწმდა თელავის რაიონულ სამმართველოში, სადაც შესული იყო ანალოგიური შინაარსის ინფორმაცია ლ. კბილაშვილთან დაკავშირებით. გამოთხოვილი მასალებიდან ირკვევა, რომ 5 სექტემბერს ლ. კბილაშვილი გადაადგილდებოდა ქ. თელავში, სადაც მიმდინარეობდა პრემიერ- მინისტრის მოსახლეობასთან შეხვედრის ღონისძიება. მან ვერ მოახერხა გზის გაგრძელება, ვინაიდან ამის საშუალება არ მისცეს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებმა. ფაქტით გაღიზიანებულმა შეტყობინება გააკეთა შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე (126) და 112-ზე. ამასთან, ლ. კბილაშვილი აღნიშნავს, რომ პოლიციელების მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნია“.

მისი განცხადების თანახმად, ცეცხლის შედეგად 30 000 ლარამდე ზარალი მიიღო. დამწვარია როგორც დამზადებული ავეჯი, ისე მასალა ახალი ავეჯის დასამზადებლად. საამქროში ცეცხლი შუადამისას გაჩნდა. სავარაუდო მიზეზად ელექტროენერგია დასახელდა, თუმცა დაზარალებული გაბრიჩიძე ამ ვერსიას არ ეთანხმება, რადგან ცეცხლის გაჩენის დროისათვის საამქროში ელექტროენერგია გათიშული იყო. საიასთან საუბარში პაატა გაბრიჩიძე არ გამორიცხავს, რომ მომხდარ ფაქტი მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდებოდეს.

პაატა გაბრიჩიძე 2012 წლიდან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი იყო, თუმცა შემდგომ „ქართული ოცნება“ დატოვა. კოალიცია „ქართული ოცნების“ დატოვებისა და პოლიტიკური საქმიანობის პ/გ „პატრიოტთა ალიანსში“ გაგრძელების შემდეგ კი, მის მიმართ როგორც თავად აცხადებს, რამდენჯერმე განხორციელდა მუქარის შემცველი ზარებიც.

საიამ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმართა უწყებათაშორის კომისიას, საკითხის შესწავლისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით.

თავს მხრივ, კომისიამ მიმართა შსს-ს, რომლის დასკვნაშიც ნათქვამია, რომ ცეცხლი მოეკიდა თორნიკე ზუმბაძის ქარხანას, რომელიც თავად ადასტურებს, რომ აღნიშნული ინციდენტი მისივე დაუდევრობით იქნა გამოწვეული, ხოლო პავლე გაბრიჩიძემ ხანძრის ფაქტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გაასაჯაროვა იმ მიზნით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობიდან თორნიკე ზუმბაძის ოჯახისთვის გაეწიათ ფინანსური დახმარება. გარდა ამისა, შსს-სა და პროკუტარურის მიერ რეაგირების ნაწილში კომისიის ოფიციალურ გვერდზე ნათქვამია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ექსპერტის მონაწილეობით დათვალა იქნა შემთხვევის ადგილი, ამოღებულ იქნა თერმული ზემოქმედებით დაზიანებული ელექტროსადენების ფრაგმენტები. ავეჯის დამამზადებელ საამქროში ხანძარი შესაძლოა, გამოწვეული იყოს ელექტროტექნიკური მიზეზით. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.<sup>88</sup>

<sup>87</sup> <http://zestafoni.ge/news/politika/patriotta-aliansis-majoritarobis-kandida.html>

<sup>88</sup> 2017 წლის 30 ავგისტოს ზესტაფონის რაიონულ სამმართველოში შევიდა შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ კვალითში მე-6 სკოლის წინ იწვოდა შენობა. შემთხვევის ადგილზე მისვლისას გაირკვა, რომ ცეცხლი ეკიდა თორნიკე ზუმბაძის ავეჯის საამქროს. ხანძარი გამაშველო სამსახურის მიერ დროულად იქნა ლიკვიდირებული. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა, დაიწვა მთლიანად საამქრო და მასში განთავსებული მასალა. ავეჯის საამქროს მეპატრონის - თორნიკე ზუმბაძის გამოკითხვით ირკვევა, რომ ცეცხლის გაჩენა მისივე დაუდევრობის შედეგია. კერძოდ, ჩართული დარჩა ელექტროენერგიის ჩამრთველ-გამომრთველი, რაზეც მიერთებული იყო დანადგარებზე მიმავალი ელექტროენერგია და დენის გაყვანილობის კაბელები. ანალოგიური დაადასტურა თორნიკე ზუმბაძის შვილმა - ნოდარ ზუმბაძემ. მოწმის განმარტებით, დედის ძმა - პავლე გაბრიჩიძე არის „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი და კენჭს იყრის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. როგორც ნოდარ ზუმბაძისათვის არის ცნობილი, პავლე გაბრიჩიძემ ხანძრის ფაქტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გაასაჯაროვა იმ მიზნით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობიდან თორნიკე ზუმბაძის ოჯახისთვის გაეწიათ ფინანსური დახმარება. პავლე გაბრიჩიძის განმარტებით, ავეჯის საამქროს ფუნქციონირებისთვის ჩადებული აქვს თანხა 15 000 აშშ დოლარის ოდენობით, თუმცა, რაიმე დოკუმენტში თანამესაკუთრედ დარეგისტრირებული არ არის. მისი ჩვენებით, ხანძარი მიზანმიმართულად არის გაჩენილი, რადგან ხანძრის გაჩენამდე, დაახლოებით, 10 დღით ადრე ტელევიზია „ობიექტივის“ ჟურნალისტები მიიყვანა ქ. ზესტაფონში მეგობრობის ქუჩაზე და აჩვენა ადგილი, სადაც გაჩენილი იყო რამდენიმე ხე (მითითებულ 42 ადგილზე კეთდება სკვერი). საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი, რომლის შემდეგობითაც მის მიერ გახმოვანდა, რომ სკვერის მშენებლობის მიმდინარეობაზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას ტენდერი არ გამოუცხადებია. პავლე გაბრიჩიძე ვარაუდობს, რომ აღნიშნულ ინტერვიუში გაკეთებულ შუკვავე განცხადებებს მოჰყვა ხანძრის განზრახ გაჩენა, რათა შემინებოდა და ჩამოშორებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პროცესს. იგი, ასევე, უთითებს, რომ 2017 წლის 11 სექტემბერს მამაკაცი დაუკავშირდა დაფარული ნომრიდან და უთხრა: „ტყუილად წვალობ, ისევე დაიწვება“, რის შემდეგაც გათიშა ტელეფონი. მან განხორციელებული ზარის დასათვალისწინებლად ტელეფონის წარმოდგენა ვერ შეძლო, რადგან მისი შვილი ხშირად ცვლის სატელეფონო ნომრებს. სისხლის სამართლის საქმეზე ექსპერტის

## თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში გაუქმდა საარჩევნო სუბიექტის „ბაქრამე, უგულავა - ევროპული საქართველოს“ პარტიული სია, ვინაიდან ყველა კანდიდატმა განცხადება დაწერა საოლქო საარჩევნო კომისიაში და უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე<sup>89</sup>. არჩევნებში მონაწილეობაზე ასევე უარი თქვა ამავე პარტიის მერობის კანდიდატმაც და საკუთარი განცხადების საფუძველზე მოიხსნა რეგისტრაციიდან. როგორც ჩვენთვის ცნობილია, კანდიდატებმა განაცხადეს, რომ აპირებდნენ სამუშაოდ ან სასწავლებლად გამგზავრებას საზღვარგარეთ, რის გამოც მათ უარი განაცხადეს არჩევნებში მონაწილეობაზე. აღსანიშნავია, რომ „ევროპული საქართველოს“ კანდიდატების უეცარი და ჯგუფური გადაწყვეტილება საკუთარი კანდიდატურების მოხსნის თაობაზე აჩენს ეჭვებს კანდიდატების გულწრფელობასთან დაკავშირებით.

საგულისხმოა, რომ კანდიდატურების მოხსნას წინ არ უძლოდა რაიმე განმარტება გარდა იმისა, რომ კანდიდატები სწავლის გაგრძელებას ან დასაქმებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ აპირებდნენ. ამასთან, პარტიის წარმომადგენელი განმარტავს, რომ ინფორმაცია კანდიდატების მიერ რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ ძირითადად მათთვის ცნობილი გახდა არა პირადად კანდიდატებისგან, არამედ - საარჩევნო ადმინისტრაციისგან.

„ევროპული საქართველოს“ ინფორმაციით, თეთრიწყაროს გარდა სხვა მუნიციპალიტეტებშიც მოხდა კანდიდატების გადარწმუნება, რიგ შემთხვევებში - დაშინება, რათა მათ რეგისტრაციიდან თავი მოეხსნათ.<sup>90</sup> აღსანიშნავია, რომ გარდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისა, ინფორმაცია სავარაუდო ზეწოლისა იძულების ფაქტებზე ასევე ვრცელდება სხვა პარტიების კანდიდატების მიმართაც, მათ შორის, ასპინძაში და დმანისში.

## დმანისი

---

მონაწილეობით დათვალთვალს იქნა შემთხვევის ადგილი, ამოღებულ იქნა თერმული ზემოქმედებით დაზიანებული ელექტროსადენების ფრაგმენტები. ავეჯის დამამზადებელ საამქროში ხანძარი შესაძლოა, გამოწვეული იყოს ელექტროტექნიკური მიზეზით. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება“.

<sup>89</sup> <https://gvla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-tetritsyaros-saarchevno-olqshi-ganvitarebul-movlenebs-ekhmaurebian#sthash.oevHMorX.dpbs>

<sup>90</sup> აღნიშნულ ფაქტებზე ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ საზოგადოებას მოგვიანებით მივაწვდით დამატებით ინფორმაციას.

მიმდინარე წლის 28 სექტემბერს საინფორმაციო პორტალ [droa.ge](http://droa.ge) -ზე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვით „ქართულ ოცნება“ მოსახლეობაზე ზეწოლას ახდენს. სოფელ ირგანჩაის მაცხოვრებლებს მმართველი პარტიის დმანისის შტაბის იურისტი ემზარ პეტრიაშვილი სთხოვს ყურანზე დაიფიცონ, რომ 21 ოქტომბერს ბიულეტენში 41-ს შემოხაზავენ.

რამდენიმე დღით ადრე კი, იმავე პორტალზე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ პარლამენის მაჟორიტარი დეპუტატი კახა ოქრიაშვილი და მისი გუნდი დამოუკიდებელ კანდიდატებს კანდიდატურის მოხსნას [აიძულებს](#). აღნიშნულზე დმანისის მოქმედი გამგებელი გოგი ბარბაქაძე [საუბრობდა](#).<sup>91</sup>

სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, საიას წარმომადგენლები ფაქტების შესწავლისა და მონიტორინგის მიზნით, მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს ჩავიდნენ დმანისში და უშუალოდ გაესაუბრნენ „შენობის მოძრაობიდან“ დმანისის მერობის კანდიდატს გოგი ბარბაქაძესა და სოფელ ირგანჩაის რამდენიმე მაცხოვრებელს. შეხვედრის მიმდინარეობისას მერობის კანდიდატმა ისაუბრა მოსახლეობაზე განხორციელებულ ზეწოლის და სავარაუდო მოსყიდვის ფაქტებზე (ყურანი, აგიტატორობაში ჩართვა) და ასევე პირადად მისი ან მისი ახლობლების მიმართ განხორციელებულ ზეწოლის რამდენიმე შემთხვევაზე. მისი განცხადებით :

- 2017 წლის 27 სექტემბერს დმანისის ქართული ოცნების შტაბის იურისტმა ემზარ პეტრიაშვილმა და კახა ოქრიაშვილის ნათესავმა მამუკა ოქრიაშვილმა შეკრიბა სოფელ ირგანჩაის 50 მკვიდრი და დაადებინა პირობა ყურანზე დაფიცებით, რომ არჩევნებში ხმას ქართულ ოცნებას მისცემდნენ და იქნებონენ ქართული ოცნების აგიტატორები. გოგი ბარბაქაძის განცხადებით, [ყურანზე დაფიცების ფაქტებს ადგილი ჰქონდა 2012 წელსაც](#), როდესაც კახა ოქრიაშვილი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი იყო.<sup>92</sup> არაერთი მცდელობის მიუხედავად, საია ვერ დაუკავშირდა პარლამენტის წევრს კახა ოქრიაშვილს.
- სოფელ ირგანჩაის მოსახლეობას პირდებიან, რომ ხმის მიცემის სანაცვლოდ არჩევნების შემდგომ დაეხმარებიან პრობლემური საკითხების მოგვარებაში.<sup>93</sup>
- ქართული ოცნების წევრები მასიურად სთხოვენ სოფლის მაცხოვრებლებს აგიტატორობას და პირდებიან ანაზღაურებას 150 ლარის ოდენობით, რომელიც ნაღდი ანგარიშსწორებით მოხდება.
- ქვ. ქართლის სატყეო სამსახურში სამსახურის უფროსმა აიძულა მერობის კანდიდატების ნათესავები დაეწერათ განცხადება და ნებაყოფლობით დაეტოვებინათ

<sup>91</sup> <https://www.youtube.com/watch?v=XkM4cpCx1Q8>

<sup>92</sup> <https://www.youtube.com/watch?v=dhIhio8VD4A>

<sup>93</sup> ერთ-ერთ მათგანს დაპირდნენ, რომ დაეხმარებოდნენ დაკარგული ცხვრების პოვნის საქმეში (აღნიშნულ მოქალაქეს, რამდენიმე თვეა, მიმართული აქვს საგამომიებო ორგანოებისათვის, თუმცა ამ დრომდე არანაირი საგამომიებო მოქმედებები არ ჩატარებულა).

სამსახური. ერთმა მათგანმა განცხადება სამსახურიდან წამოსვლის შესახებ უკვე დაწერა, თუმცა მეორემ, კერძოდ: სეირან ხიზანიშვილმა განცხადება არ დაწერა და დღემდე აგრძელებს საკუთარ თანამდებობაზე მუშაობას.

- მერობის კანდიდატის მხარდამჭერის სახლში, ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლებმა ჩაატარეს ჩხრეკა. პოლიციის თანამშრომლები საცხოვრებელ სახლში არარეგისტრირებულ ცეცხლსასროლ იარაღს ეძებდნენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საიამ მიმართა უწყებათაშორის კომისიას, რადგან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, შეისწავლოს წარმოდგენილი ინფორმაცია და მიიღოს შესაბამისი ზომები.

## ასპინძა

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 7 ოქტომბერს დაბა ასპინძაში ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებსა და გამგებლის წარმომადგენლებზე განხორციელდა ზეწოლის ფაქტი.<sup>94</sup> კერძოდ, 7 ოქტომბერს პარტია „ქართული ოცნების“ ასპინძის შტაბში დაიბარეს ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები, ა(ა)იპ-ების და გამგებლის წარმომადგენლები. ქართული ოცნების განმარტებით, აღნიშნული შეხვედრა იყო რიგითი შეხვედრა.<sup>95</sup>

აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია საიას წარმომადგენლებს თავად იმ პირებმა მიაწოდეს, რომელთა მისამართითაც ხორციელდებოდა მუქარა. აღნიშნული პირები საიას მონიტორებთან საუბარში აღნიშნავენ, რომ მმართველი პარტიის ოფისში შესვლამდე სათანადოდ გაჩხრიკეს. კერძოდ, თავდაპირველად ჩამოართვეს ტელეფონები და განუცხადეს, რომ ტელეფონების ჩამორთმევა იმიტომ ხდება, რომ აქ მყოფთაგან არიან ადამიანები, ვისაც დღევანდელი საუბრის ჩაწერა სურათ. ხოლო აღნიშნულის შემდეგ სპეციალური აპარატით გაჩხრიკეს.

შეხვედრაზე იმყოფებოდნენ „ქართული ოცნების“ პარტიის რეგიონების დეპარტამენტის უფროსი დიტო სამხარაძე და მერობის კანდიდატი როსტომ მაგრაქველიძე.

სამხარაძემ შეხვედრაზე დამსწრეებისგან მოითხოვა, რომ მხარი მხოლოდ პარტია „ქართულ ოცნებისთვის“ დაეჭირათ, უნდა ემუშავათ მხოლოდ „ქართულ ოცნებისთვის“, წინაღმდეგ შემთხვევაში იყო მუქარა სამსახურების დაკარგვაზე, ასევე დაპატიმრებაზე. იყო მოთხოვნა, რომ თუ არ დაეხმარებოდნენ „ქართულ ოცნებას“, მაშინ რეგიონებიდან ჩამოიყვანდნენ 5000

<sup>94</sup> <http://sknews.ge/index.php?newsid=15166>

<sup>95</sup> <http://sknews.ge/index.php?newsid=15166>

ადამიანს, თუმცა არ განუმარტავთ, კონკრეტულად რა დახმარება უნდა გაეწია 5000 ადამიანს მათთვის.

საიას მონიტორების ინფორმაციით, დამსწრე პირებმა პარტიის რეგიონების დეპარტამენტის უფროსსა და ასპინძის მერობის კანდიდატს განუცხადეს, რომ ისინი მხარს უჭერდნენ პარტია ქართულ ოცნებას, თუმცა მერის არჩევნებში არჩევანს აკეთებდნენ დამოუკიდებელ კანდიდატზე ლევან ცაბაძე, რომელიც ამჟამად ასპინძის მოქმედი გამგებელია. ამის შემდეგ, დამსწრე პირებმა შეხვედრა დატოვეს. ჩვენი ინფორმაციით, შეხვედრა პროტესტის ნიშნად დატოვეს ასპინძის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა, სოფელ ორგორა-სახუდაბელში გამგებლის წარმომადგენელმა და სოფელ ივერიაში გამგებლის წარმომადგენელმა.

აღსანიშნავია, რომ იმავე დღეს, გვიან ღამით ასპინძაში მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის ლევან ცაბაძის ბანერი ჩამოხიეს. ასევე, პარტიის ოფისში შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილის ზურა შავაძის განმარტებით, სოფელ ივერიაში მოსახლეობა დაშინებულია, მათ ემუქრებიან, რომ თუ ისინი „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატს მხარს არ დაუჭერენ, მათ ქონებას პრობლემა შეექმნება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საიამ მიმართა უწყებათაშორის კომიას, რადგან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, შეისწავლოს წარმოდგენილი ინფორმაცია და მიიღოს შესაბამისი ზომები.

## **წყალტუბო**

„ევროპული საქართველოს“ ინფორმაციით, ევროპული მათი მერობის კანდიდატზე წყალტუბოში სევერიან გორდულაძეზე და მის ძმაზე, პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატზე წყალტუბოში მუქარა განხორციელდა.

საიას მონიტორებმა აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმეს. კახა გორდულაძის განცხადებით, 2017 წლის 2 ოქტომბერს ვლადიკავკაზიდან თბილისში დაბრუნდა, რა დროსაც პირად ნომერზე დაუკავშირდა უცნობი პიროვნება ნომრით 700 700 700. საუბრისას უცნობმა პიროვნებამ კახა გორდულაძეს მოსთხოვა მაჟორიტარობის კანდიდატურის მოხსნა და საცხოვრებლად ისევ ვლადიკავკაზში დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მეუღლის, რომელიც სოფ. ბარდნალის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მასწავლებლად მუშაობს, სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრა.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დღეს, როდესაც მუქარის ზარი განხორციელდა, კახა გორდულაძემ თავისი ნომრით მხოლოდ მის ძმას სევერიან გორდულაძეს დაურეკა. რადგან კახა გორდულაძის ნომერი სხვამ არავინ იცოდა, სევერიან გორდულაძეს ეჭვი აქვს, რომ მის ნომერს უსმენენ. მუქარის შემცველი ზარის თაობაზე მათ პოლიციას



განცხადებით მიმართეს. აღნიშნული საქმის თაობაზე დაიწყო ინფორმაციის მოძიება. ფაქტზე ახსნა-განმარტება კახა გორდულაძის მეუღლესაც ჩამოართვეს.

## საპროტესტო აქცია თბილისის მერიასთან და დაპირისპირება საკრებულოში

მიმდინარე წლის 29 სექტემბერს თბილისის საკრებულომ განიხილა პანორამა თბილისის სასტუმროს მიმდებარე მიწისქვეშა ავტოსადგომის ასაშენებლად მიწის ნაკვეთს ფუნქციური ზონის სტატუსის შეცვლაზე და თაბორის მთაზე 4 700 მ2 ფართობის მიწას რეკრეაციული სტატუსის “თაბორი რიზორტის” სასარგებლოდ მოხსნის თაობაზე, რაზეც საკრებულომ „თაბორი რიზორტის“ სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო.<sup>96</sup>

აღნიშნული გადაწყვეტილება გააპროტესტეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა, რასაც საკრებულოს დარბაზში ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა. საბოლოო ჯამში, სხდომის თავმჯდომარემ დარბაზიდან გააძევა პარტია „ევროპული საქართველოსა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატები, ელენე ხოშტარია და ზაალ უდუმაშვილი, „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერს, ხათუნა სამნიძეს კი დარბაზში შესვლის საშუალებას არ აძლევდნენ,<sup>97</sup> რის შემდეგაც, ოპოზიციის წევრებმა და მათმა მხარდამჭერებმა აღნიშნული გადაწყვეტილების გასაპროტესტებლად ქალაქ თბილისის მერიასთან გადაინაცვლეს.<sup>98</sup>

როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი და მხარდამჭერები აცხადებდნენ, ისინი აღნიშნულ აქციაზე აპროტესტებდნენ ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის სახელთან დაკავშირებული კომპანიისათვის თაბორის მთაზე ტერიტორიის გადაცემას.

აღნიშნულ აქციაზე პოლიტიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა პროტესტის ნიშნად სავალი გზა გადაკეტეს, რითაც შეფერხდა ავტომობილების მოძრაობა, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის მოწოდების შედეგად საავტომობილო გზა მალევე განთავისუფლდა. დაპირისპირება სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეებს შორის მას

<sup>96</sup> <http://netgazeti.ge/news/223014/>

<http://www.mediamall.ge/?newsid=206528>

<sup>97</sup> <http://liberali.ge/news/view/31508/sakrebulo-shi-opozitsia-savaraudod-ivanishvilis-kompaniistvis-mitsis-gadatsemis-gegmas-aprotestebis>

<sup>98</sup> <https://www.allnews.ge/sazogadoeba/156315->

[-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90.html](http://www.allnews.ge/sazogadoeba/156315-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90.html)

შემდეგ გამწვავდა,<sup>99</sup> რაც აქციის მონაწილეები შეეცადნენ მერიის შენობაში შესვლას. საპროტესტო აქციაზე დააკავეს პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ 6 მხარდამჭერი.

### **თბილისის საკრებულოსთან 10 ოქტომბერს განვითარებული მოვლენები**

2017 წლის 10 ოქტომბერს ქ.თბილისის საკრებულოს სხდომა, სადაც განიხილებოდა თბილისი სითისთვის „პუშკინის სკვერთან და თაბორის მთაზე მდებარე ორი მიწის ნაკვეთის გადაცემის საკითხი, ოპოზიციის ხმაურიანი საპროტესტო აქციის ფონზე წარიმართა.<sup>100</sup>

აღნიშნულ სხდომაზე განსახილველი საკითხის გაპროტესტება სურდათ ოპოზიციის წევრებს, რის გამოც ისინი შეეცადნენ შესულიყვნენ საკრებულოს სხდომათა დარბაზში, თუმცა მათ ამის საშუალება საკრებულოსთან მობილიზებულმა სამართალდამცავმა ორგანოებმა არ მისცეს<sup>101</sup>, რამეთუ მათი განმარტებით სხდომა დახურულად იქნა გამოცხადებული.

მიუხედავად წინააღმდეგობისა, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები მაინც შეეცადნენ საკრებულოს შენობაში შესვლას, რის გამოც სამართალდამცავებმა დააკავეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 11 წევრი<sup>102</sup>, მათ შორის ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატი კოტე იოსელიანი.

იოსელიანის განცხადებით, სამართალდამცავებმა ის ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში და მისთვის დაკავების მიზეზები არ განუმარტავთ. <sup>103</sup> მისივე განცხადებით, ოპოზიციის წევრების დაკავება მოხდა უკანონოდ რა დროსაც პოლიციამ ძალა გადამეტებულად გამოიყენა მათ წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ დაკავებულების სასამართლო პროცესი 2017 წლის 17 ოქტომბრისათვის გადაიდო. 11-ივე დაკავებული განთავისუფლებულია მომდევნო სასამართლო სხდომამდე.

მიგვაჩნია, რომ მსგავსი სახის ინციდენტები უარყოფით გავლენას ახდენს წინასაარჩევნო გარემოზე. ნებისმიერ შემთხვევაში დაკავება უნდა იქნას გამოყენებული როგორც უკიდურესი საშუალება, რა დროსაც მაქსიმალურად მოზომილი უნდა იყოს სამართალდამცავი ორგანოების მოქმედება და უკიდურესი აუცილებლობის არსებობის გარეშე ძალა არ უნდა იქნას გამოყენებული.

<sup>99</sup> <http://rustavi2.ge/ka/news/86393>

<sup>100</sup> <http://1tv.ge/ge/news/view/183043.html>

<sup>101</sup> <http://1tv.ge/ge/news/view/182982.html>

<sup>102</sup> <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/457038-thbilisis-sakrebulothan-dakavebuli-nacmodzraobis-kidev-11-tsevri-math-shoriskote-ioseliani-momdevno-sasamarthlo-skhdomamde-gathavisuflda.html?ar=A>

<sup>103</sup> <http://rustavi2.ge/ka/news/87080>

## **X.წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლის ფაქტები**

### **თბილისი**

2017 წლის 9 სექტემბერს „ნაციონალური მოძრაობის“ ვაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, კოტე იოსელიანის შტაბში ადგილი ჰქონდა ინციდენტს, რაც გამოხატა ოფისისათვის აგურის სროლაში.

როგორც თავად იოსელიანი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან საუბარში აცხადებს, აღნიშნულ ინციდენტამდე ერთი დღით ადრე მის ოფისში უცხო პირმა/პირებმა „პლასტმასის“ ბოთლი ისროლეს, რომელიც სახეში მოხვდა ოფისის ერთ-ერთ თანამშრომელს. მომხდარიდან მეორე დღეს კი მათ ოფისში უკვე აგური ისროლეს, რასაც იოსელიანი მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს და წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლად აფასებს.

მომხდარის ადგილას მივიდა საპატრულო პოლიციაც, რომელმაც იოსელიანს ჩამოართვა ახსნა-განმარტება, თუმცა, მისი განმარტებით შემდგომი რეაგირება მომხდარს არ მოჰყოლია.

### **ალეკო ელისაშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში ხელშეშლა**

მიმდინარე წლის 19 სექტემბერს, ქალაქ თბილისის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებული მერობის კანდიდატის - ალექსანდრე ელისაშვილის “Facebook”-ის გვერდის საშუალებით გავრცელდა ვიდეომასალა, სადაც ასახულია სავარაუდოდ სააგიტაციო ღონისძიებაში ხელის შეშლის ფაქტი.<sup>104</sup> ვიდეომასალაში ჩანს, რომ

---

<sup>104</sup> <https://www.facebook.com/AlexanderElisashvili/videos/1685178698180937/>

დიდუბის გამგებლის მოადგილე (მისივე განცხადებით - უგულავა), მოქალაქე ირმა ბენდელიანი (მისივე განცხადებით - „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის წევრი) და სხვა უცნობი პირები ალექსანდრე ელისაშვილსა და მის მხარდამჭერებს არ აძლევენ ღონისძიების გამართვისა და ინტერვიუს ჩაწერის შესაძლებლობას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვიდეომასალის მიხედვით, მოქმედება ვითარდება სამუშაო საათების განმავლობაში. საიამ მიმართა როგორც ცესკოს, ასევე უწყებათაშორის კომისიას და რეაგირება მოითხოვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით უწყებათაშორისმა კომისიამ მიმართა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რომელმაც განაცხადა, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში ხელშეშლას ადგილი არ ჰქონია.<sup>105</sup> თავის მხრივ, ცესკოს დაწყებული აქვს საკითხის შესწავლა,<sup>106</sup> თუმცა, კონკრეტული შედეგი მოცემული მომენტისათვის დამდგარი არ არის.

## ზუგდიდი

2017 წლის 3 სექტემბერს ქ. ზუგდიდში „ევროპული საქართველოს“ ადგილობრივ ოფისში პარტიის სარეკლამო ბანერი ჩამოხიეს. აღნიშნულ ქმედებას პარტიის მერობის კანდიდატი ლელა ქებურია პარტია „ქართულ ოცნებას“ უკავშირებს.

მისი თქმით მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის თანახმად. როგორც ქებურია საიას წარმომადგენლებთან საუბარში განმარტა, ჩამოხეული და დაკაწრული იყო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ყველა პლაკატი, მათ შორის სხვა ოპოზიციური პარტიების პლაკატებიც. აღნიშნულ ფაქტს საიას მონიტორებიც ადასტურებენ.

<sup>105</sup> „დიდუბის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს წერეთლის გამზირის №63-ში მცხოვრებმა მოქალაქეებმა და მოითხოვეს აღნიშნულ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების დროს დემონტირებული აგურის ღობის ნაცვლად ახალი დეკორატიული მოაჯირის მოწყობა. აღნიშნული ღობე ამხანაგობის „წითელ ხაზებში“ მდებარეობს. გამგებლის დავალებით, ობიექტის დასათვალიერებლად ადგილზე გავიდა გამგებლის მოადგილე ზურაბ უგულავა. შემოწმების შემდგომ სამსახურებრივი ავტომანქანის მიმართულებით მიმავალს შეხვდა ალექსანდრე ელისაშვილი მისი თანმხლები პირებით, რომლებიც იმყოფებოდნენ კონკრეტულად იმ ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად იგეგმება სპორტული მოედნის მოწყობა. ოპერატორმა, სავარაუდოდ, იცნო გამგებლის მოადგილე და მიუახლოვდა მას კამერით ხელში; გადაამოწმა, იყო თუ არა იგი დიდუბის რაიონის გამგებლის მოადგილე და დადასტურების შემდგომ გაიმართა საუბარი ალექსანდრე ელისაშვილსა და ზურაბ უგულავას შორის, რომელიც კამათში გადაიზარდა. კამათის თემას წარმოადგენდა არსებულ ტერიტორიაზე (წერეთლის გამზ. №63) მშენებლობის საკითხი. ელისაშვილის თქმით, აღნიშნულ ტერიტორიაზე უნდა აშენდეს სასტუმრო, ზურაბ უგულავას განმარტებით, ამ ტერიტორიაზე დაგეგმილია სპორტული მოედნის 64 მოწყობა, რომელიც ამ მისამართზე მცხოვრებმა მოქალაქეებმა მოითხოვეს კოლექტიური განცხადებით. აღნიშნული სტადიონის პროექტი 2015 წელს გაკეთდა, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ამ ტერიტორიას მინიჭებული ჰქონდა სარეკრეაციო ზონა 1-ის სტატუსი, სამუშაოების დაწყება შეუძლებელი იყო ტერიტორიის ზონის ცვლილების გარეშე, რის გამოც სტადიონის მოწყობა გადაიდო 2018 წლის იანვრისთვის. ამჟამად ტერიტორიის ზონა შეცვლილია, გამგეობის წარმომადგენელმა განუმარტა ამის თაობაზე ადგილზე შეკრებილ ხალხს და მოუწოდა ელისაშვილს, არ შეეყვანა საზოგადოება შეცდომაში. აქედან გამომდინარე, არანაირ ხელშეშლას საარჩევნო სუბიექტის მიმართ არ ჰქონია ადგილი და ალექსანდრე ელისაშვილის განცხადება და ვიდეომასალა, რომელიც მან პირად გვერდზე განათავსა, არ ასახავს სრულად შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის არსს. შესაბამისად, ინფორმაციის არასრული წარმოჩენით და მისი ცალმხრივი შეფასებით გამიზნულად ხდება საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. მუნიციპალიტეტი ემიჯნება ყოველგვარი კანონდარღვევის (მათ შორის, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის) ფაქტ(ებ)ს“.

<sup>106</sup> „აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ცესკო-ს უფლებამოსილების ფარგლებში დაწყებულია შესწავლა, რის ფარგლებშიც დიდუბის გამგებლის მოადგილეს გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება თავისი პოზიციის წარმოსადგენად“.

## ზუგდიდი

საანგარიშო პერიოდში, ცნობილი გახდა, რომ ზუგდიდის მერობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა, დომენტი (ზვიად) სიჭინავამ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ქ. ზუგდიდში ბილბორდებზე განსათავსებელი რეკლამა კომპანია Outdoor.ge-ს დაუკვეთა, რადგანაც მისი ინფორმაციით სხვა ალტერნატივა არ არსებობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება გაფორმებული იყო, გაწერილი იყო ყველა დეტალი და მერობის კანდიდატი აღნიშნულ სარეკლამო კომპანიას ბილბორდზე სააგიტაციო მასალის განთავსებისთვის საკმაოდ სოლიდურ თანხას უხდიდა, აღნიშნული კომპანიის მიერ 23 სექტემბერს დამონტაჟებული ბილბორდები ქალაქ ზუგდიდში რამდენიმე საათში ერთმანეთის მიყოლებით „ჩამოიყარა“. კომპანიაში განაცხადეს, რომ ბილბორდს ჰქონდა ტექნიკური პრობლემა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ოთხივე ბილბორდს, რომელზეც დომენტი სიჭინავას პოსტერები განთავსდა, არავითარი ტექნიკური პრობლემები არ ჰქონია. ზუგდიდის მერობის დამოუკიდებელ კანდიდატი მომხდარს მის წინააღმდეგ მიზანმიმართულ ხელშეშლად აფასებს.

## ბოლნისი

3 ოქტომბერს ბოლნისში ევროპული საქართველოს წევრები მართავდნენ შეხვედრას მხარდამჭერებთან. ჩვენი მონიტორის ინფორმაციით, „ევროპული საქართველოს“ მხარდამჭერს, შახალი მაქსომოვს, რომელიც სააგიტაციო მანქანით საწვავის ჩასასხმელად გადაადგილდებოდა, თავს დაესხა ორი უცნობი პიროვნება. სიტყვიერი შეურაცხყოფის შემდეგ თავდამსხმელებმა ქვის სროლა დაიწყეს და დააზიანეს პარტიის სააგიტაციო ავტომობილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ ფაქტზე დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის ოდექსის 187-ე მუხლით. მათივე ცნობით, მომხდარის დროს ადამიანები არ დაშავებულან და მხოლოდ ავტომობილი დაზიანდა.

## მარნეული

2017 წლის 27 აგვისტოს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების – „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“ – რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ახმედ იმამკულიევი მოსახლეობასთან ხვდებოდა, რა დროსაც ადგილი ჰქონდა ინციდენტს, რაც გამოიხატა წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის ხელშეშლაში „ქართული ოცნების“ მხრიდან.

კერძოდ, როგორც საიასთან საუბრისას „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლები აცხადებენ, „ქართული ოცნების“ აქტივისტები მათ ხელს უშლიდნენ ღონისძიების გადალებასა და შეხვედრის მშვიდ გარემოში წარმართვაში.

ამასთან, არსებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ ქმედებებში მონაწილეობდნენ ჯეიხუნ ჩოვდაროვი (მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის სავარაუდო კანდიდატი სოფელ ყიზილაჯლოში მკვ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოდან“), ფაიქ გოჯაევი (მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის თანამშრომელი), ანარ მამიშოვი (მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელ ნურლან მამიშოვის ძმა; საერთო ჯამში – ათამდე პირი). მსგავსი ინციდენტი განმეორდა 2017 წლის 28 აგვისტოს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაიდარაში. მასში ათამდე პირი მონაწილეობდა, რომელთა შორის იყო მეხდი ყურბანოვი (მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელი).

აღნიშნულთან დაკავშირებით უწყებათაშორის კომისიას შესაბამისი რეაგირების მიზნით მიმართა პოლიტიკურმა გაერთიანებამ - „ევროპული საქართველო-მომრავობა თავისუფლებისთვის“, რაზეც შესაბამისი რეაგირება/პასუხი მოახდინა შემდეგმა სტრუქტურებმა: „ცესკომ“, რომელმაც თქვა, რომ აღნიშნული არ ჩაითვლება წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევად, რადგან შეხვედრა გაიმართა კვირა დღეს, რომელიც არ არის სამუშაო დღე და შესაბამისად საჯარო მოხელეებს აქვთ უფლებამოსილება დაესწრონ მსგავსი სახის შეხვედრებს. ხოლო, „შსს“-ს თქმით, ადგილი ჰქონდა მხოლოდ სიტყვიერ დაპირისპირებას და არა წინასაარჩევნო კამპანიაში ხელშეშლის ფაქტს, რადგან იმამკულიევი მიუხედავად დაპირისპირებისა თავისუფლად ახერხებდა შეხვედრის პირდაპირ ტრანსლირებას.

## თბილისი

2017 წლის 27 აგვისტოს, სოციალური ქსელი „ფეისბუქის“ მეშვეობით გავრცელდა ვიდეო ჩანაწერი, რომელშიც ნათლად ჩანდა, რომ დაუდგენელი პირები ერთ-ერთი პარტიის სიმბოლიკიან მაისურებში გამოწყობილები მოქალაქეებს თავს წარუდგენდნენ ქ.თბილისის მერობის დამოუკიდებელ კანდიდატის, ალექსანდრე ელისაშვილის მხარდამჭერად და თითქოსდა მისი მხარდაჭერის მიზნით თხოვდნენ პერსონალურ მონაცემებს და გაურკვეველი წარმომავლობის ბლანკზე ხელის მოწერას.

შედეგად, მოქალაქეებს ექმნებოდათ განცდა, რომ მათ უკვე დაადასტურეს თავიანთი მხარდაჭერა ალექსანდრე ელისაშვილის მიმართ და აღარ აწერდნენ ხელს იმ საარჩევნო ბლანკებს, რომლებიც ნამდვილად ეკუთვნოდა ალექსანდრე ელისაშვილს და რომლებიც კანონმდებლობით სავალდებულოდ წარსადგენი იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიაში მერობის კანდიდატის არჩევნებში შემდგომი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

ალექსანდრე ელისაშვილის შტაბის განმარტებით, აღნიშნული ფაქტი წარმოადგენდა ამომრჩეველთა მიერ არჩევნებში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლას მოტყუებით,

რაც გათვალისწინებულია საქართველოს ს.ს კოდექსის 162-ე მუხლის მე-2 პუნქტს „ბ“ ქვეპუნქტით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ალექო ელისაშვილმა 2017 წლის 28 აგვისტოს მიმართა ისანი-სამგორის რაიონის პოლიციას გამოძების დაწყების მოთხოვნით<sup>107</sup>, რაზეც უარი მიიღო.

გარდა ამისა, ალექსანდრე ელისაშვილის შტაბის წარმომადგენლებმა აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართეს უწყებათაშორის კომისიას და შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში მოითხოვეს საკითხის შესწავლა და მასზე რეაგირება, თუმცა საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა.

### **აქცია „ქართუ ბანკისა“ და „ქართული ოცნების“ ოფისებთან**

საანგარიშო პერიოდში, ადგილი ჰქონდა კონტრაგიტაციის ფაქტებს მმართველი პარტიისა და მისი თბილისის მერობის კანდიდატის მიმართ. კერძოდ, 2017 წლის 19 სექტემბერს პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა და მხარდამჭერებმა საპროტესტო აქცია გამართეს „ქართუ ბანკის“ შენობასთან და საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ფულის გათეთრებაში დაადანაშაულეს.<sup>108</sup>

აღნიშნული აქციის მსვლელობას მშვიდ ვითარებაში არ ჩაუვლია, ადგილი ჰქონდა სიტყვიერ დაპირისპირებასაც. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციაც.<sup>109</sup> საგულისხმოა, რომ „ქართუ ბანკის“ წარმომადგენლებმა აღნიშნულ აქციაზე გამოთქმულ ბრალდებებს უსაფუძვლო უწოდეს, რის გამოც აპირებენ სასამართლოს მიმართონ.

საგულისხმოა, რომ მსგავსი სახის საპროტესტო აქცია გაიმართა „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატის, კახა კალაძის შტაბთანაც.<sup>110</sup> კერძოდ, 2017 წლის 19 და 22 სექტემბერს „ბავშვთა სამყაროს“ ხანძრის შედეგად დაზარალებულები კახა კალაძის შტაბთან შეიკრიბნენ და პროტესტის უკიდურეს ფორმას, შიმშილობასაც მიმართეს. მოქალაქეთა განცხადებით, ხანძარი განზრახ იქნა გაჩენილი ვინაიდან სწორედ თბილისის მერობის კანდიდატის ბიზნეს ინტერესებს ჰქონდა ადგილი, რომლის მიზანსაც „ბავშვთა სამყაროს“ ტერიტორიაზე ახალი სავაჭრო ცენტრის მშენებლობა წარმოადგენს.<sup>111</sup>

---

<sup>107</sup> <http://netgazeti.ge/news/217206/>

<sup>108</sup> <http://www.ipress.ge/new/85383-qartu-banktan-nacionaluri-modzraobis-aqcia-mimdinareobs-video>

<sup>109</sup> <http://rustavi2.ge/ka/news/85344>

<sup>110</sup> <https://imedinews.ge/ge/archevnebi/28457/kakha-kaladzis-saarchevno-shtabtan-saprotesto-aqtsia-mimdinareobs>

<sup>111</sup> <https://imedinews.ge/ge/saqartvelo/28016/kakha-kaladzis-shtabtan-bavshvta-samkaros-dazaralebulebma-shimshiloba-daitskes>

